კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ინდირა შავაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ნატო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,

ასისტენტი ლევან ნიკოლეიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ნატო-თურქეთის ურთიერთობებ და ამ ურთიერთობებთან დაკავშირებული ისტორიული ასპექტები, აქტუალური საკითხები, გამოწვევები და პერსპექტივები.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციაა მსოფლიოში.პოლიტიკური და სამხედრო ალიანსი, რომელიც 29 სახელმწიფოს აერთიანებს ჩრდილო ამერიკასა და ევროპაში. ქვეყნების მთავარ მიზანს უსაფრთხოება და თავდაცვა წარმოადგენს, ნატო კი ამ თვალსაზრისით უნიკალური მაკავშირებელი რგოლია ამ ორ კონტინენტს შორის.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ წარმოადგენს გარანტიას მხოლოდ სამხედრო თავდაცვით სფეროში, ამავდროულად ის არის გარანტორი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და დემოკრატიული განვითარებისა. რაც ნათლად გამოიხატა მისი არსებობის 70 წლიან პრაქტიკაში. ალიანსის ფარგლებში ყველა გადაწყვეტილება მიიღება თითეული წევრი სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებითა და კონსესუსის საფუძველზე.

Annotation

Modern relationship between NATO-Tarkey

In this master thesis is considere relations between the NATO-Turkish and historical aspects relacted, current issues, challenges and political perspectives in the future. .

The North Atlantic Organization (NATO) is one of the large international organizations in the world. It is the Political and Military Alliance, which unites 29 states in North America and Europe. The main goal of the countries unites are security and defense, and NATO is a unique link between these two continents.

The North Atlantic Alliance is not a guarantee only in the field of defense, at the same time it is guarantor of economic, social and democratic development of those partner countries. It is clearly demonstrated its existence in 70 years of practice. All decisions within the Alliance are based on the consent of each member state and consensus.

Of this master thesis main goal is to study (based on the literature review) the historical aspects of NATO-Turkish relations, current challenges and perspectives in the future.

Indira Shavadze

სარჩევი

1.შესავალი.....5

თავი პირველი: ნატო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიული ასპექტები……11

1.1 რალიზმი როგორც ქცევის მოტივაცია თურქეთის საგარეო პოლიტიკაში……..12

1.2 ნატო-თურქეთის ურთიერთობა ცივი ომის პერიოდში.....16

1.3 ნატო თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის შემდგომ პერიოდში.....25

თავი მეორე: ნატო-თურქეთის ურთიერთობების გაუარესების პოლიტიკური ფაქტორები და შავი ზღვის აუზი…….31

2.1 შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელობა და ნატო-თურქეთის და რუსეთის ურთიერთობები.....31

2.2 თურქეთის რუსეთთან დაახლოების ძირითადი მიზეზები და აშშ-ს პოლიტიკა.....41

2.3 თურქეთის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების პერსპექტივები.....56

დასკვნა.....59

ბიბლიოგრაფია.....63

შესავალი

ჩრდილოანტლანტიკურ ალიანსი არის ერთ-ერთ მთავარი გაერთიანება მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტში. ნატოს ერთ-ერთი მთავარი მისიაა ხელი შეუწყოს დავების მშვიდობიან გადაწყვეტას და მხარი დაუჭიროს დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას. ნატო-ს როლი და ფუნქცია მსოფლიო მშვიდობის საკითხში ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მასში გაერთიანებული ქვეყნები ნატოსთან ერთად ცდილობენ ებრძოლონ XXI საუკუნის პრობლემებს და ნერგავენ თანამედროვე უსაფრთხო სისტემებს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით ნატომ შეცვალა სამხედრო ქმედებების ხასიათი და ნათელია, რომ XXI საუკუნეში მშვიდობისა და განვითარების მთავარ იარაღს დიპლომატია წარმოადგენს.

ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ მას გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, ფლობს შესაბამის მექანიზმებს და საშუალებებს იმისთვის, რომ აწარმოოს მშვიდობიანი და ფართომასშტაბიანი ურთიერთობები ქვეყნებს შორის.

სამყაროში სწრაფად იცვლება უსაფრთხოების გარემოებები. ცვლილებების ეს პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას გლობალიზაციის პროცესში იძენს, ასევე მატულობს ნატოს სახეცვლილების ტემპიც სტრატეგიულ გარემოს განვითარებასთან ერთად. დღეს ნატო საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ უფრო ფართო სპექტრის გამოწვევებს უპირისპირდება წარსულთან შედარებით.

როგორ პასუხობს გამოწვევებს? საჭიროა ახალი მიდგომები უსაფრთხოების სფეროში, ღრმა და ინოვაციური მიდგომები, რაც სცდება გეოგრაფიულ, კულტურულ, რელიგიურ ან ინსტიტუციურ აზრებს, რომლებიც ხელს უწყობს ერებს შორის თანამშრომლობის ხარისხს და ახალ დონეზე ორგანიზებას.

გამომდინარე იქედან, რომ გამუდმებით იცვლება წევრი სახელწიფოების წინაშე

არსებული საფრთხის ხასიათი და ნატოს მათდამი მიდგომის მეთოდები, ალიანსის თანამშრომლობის მთავარ წესს ვაშინგტონის შეთანხმების პრინციპები წარმოადგენს, მთავარ ამოსავალ წერტილს კი კოლექტიური თავდაცვა.

ნაშრომში განხილულია ნატო-ს დაარსებიდან დღემდე მისი მნიშვნელობა და ეფექტურობა ქვეყნების მიმართ, რომლებიც არიან ნატოს წევრი სახელმწიფოები.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალურობას წარმოადგენს დღევანდელი ნატოსა და თურქეთს შორის შიდა პოლიტიკური დაძაბული ურთიერთობა, რომელიც გამოწვეულია რუსეთ-თურქეთის დაახლოებით. თავის დროზე ნატოში თურქეთის გაწევრიანება ისტორიული-გეოპოლიტიკური აუცილებლობით და ორმხრივი თავდაცვის შეთანხმების საფუძველით იყო გამოწვეული. თანდათანობით თურქეთის შეიარაღებული ძალების განვითარებამ, უფრო მეტი დატვირთვა მისცა თურქეთს ნატოსთვის, თანამედროვე ეტაპზე კი თურქეთის შეცვლილმა პოლიტიკამ ეთანამშრომლა რუსეთთან როგორც პარტნიორ ქვეყანასთან პოლიტიკური კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ორმხრივი თავდაცვის შეთანხმება, რამაც აქტუალური გახადა ეს თემა.

საკვლევი კითხვები

- ✓ როგორ ვითარდება ნატო-თურქეთის ურთიერთობები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში?
- ✓ რამდენად შესაბამისობაშია ნატოსა და თურქეთის ინტერესები შავი ზღვის აკვატორიაში?
- ✓ რა პერსპექტივები აქვს ნატო-თურქეთის ურთიერთობებს?

ჰიპოთეზა

თანამედროვე პერიოდში ნატო-თურქეთის ურთიერთობების გაუარესება გამოიწვია ნატოს პოლიტიკური პოზიციის და თურქეთის ეროვნული ინტერესებს შორის განსხვავებამ. თურქეთის რუსეთთან დაახლოებით პოლიტიკური ურთიერთობა გაუარესდა, რასაც დაემატა რუსეთის საჰაერო თავდაცვის სისტემის S-400-ის შესყიდვის საკითხი. საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოქმნილი ვითარებიდან და იმ დაძაბული ურთიერთობებიდან გამომდინარე უნდა მოველოდოთ ნატო-თურქეთის ურთიერთობების ტრანსფორმირებას.

თემის მიზნები და ამოცანები

მიზნები:

- მოცემული სამაგისტო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ ნატო-თურქეთის ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში
- გავაანილოზოთ თუ რამ გამოიწვია ნატო-რუსეთის ურთიერთობების დაახლოება

ამოცანები:

- მოცემული სამაგისტო ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ნატოს ინტერესების განსაზღვრა შავი ზღვის აკვატორიაში და მისი შესაბამისობა თურქეთის ინტერესებთან,
- დადგინდეს რა ფაქტორი მოახდენს ნატო-თურქეთის ურთიერთობების ტრანსფორმირებას

მეთოდოლოგიური ჩარჩო

გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია - გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია დაკავშირებულია გეოპოლიტიკის მეცნიერებასთან, რომელიც ასევე დაკვაშირებულია ძალთა ბალანსის თეორიულ ასპექტებთან. გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია არის ცნება, სადაც ორი სამეცნიერო მიმართულება ისახება: პირველი ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლა და მეორე, გეოპოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები. [1]

პოლიტიკური რეალიზმის თეორია - („prisoner's dilema"), რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო და სადაც განიხილება ისეთი ძირითადი ცნებები, როგორიც არის ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია - რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება და მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება თვისებრივი და შედარებითი კვლევის მეთოდი და ასევე კონტენტ ანალიზი, განვიხილეთ თეორიული მასალი და გამოვიტანეთ დასკვნები, ისტორიულ-აღწერილობითი, შედარებითი და პოლიტიკის კვლევის ანალიზის საფუძველზე.

---

[1] ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ. გვ.71

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოადგება ამ საკითხზე მომუშავე ყველა პრაქტიკოს ანალიტიკოსს და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებს, ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

კვლევის მოსალოდნელ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, იმ პრობლემების გამოვლენა რაც დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო პოლიტიკაში, ნატო-თურქეთის და რუსეთ-თურქეთს შორის განვითარებული მოვლენების მიმართულებით.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

ნ. ჩიტაძე. ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნატოს ისტორიულ-აღწერილობით მიმოხილვაზე, მისი შექმნიდან დღემდე, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ნატოს მნიშვნელობაზე მშვიდობის ჩამოყალიბებაში და მის როლზე პარტნიორი სახელმწიფოებთანѥ

ვახტანგ ქარუმიძე ,,საერთაშორისო ორგანიზაციები” - საქართველოს ილის ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათკებლო კავშირი-საზოგადოება ,,ცოდნა” - თბილისი 2003

ავტორი მოცემულ წიგნში ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე მსოფლიოში, მათ მიერ ნაკისრ ვლდებულებებზე,

მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საკითხში,აღნიშნავს ნატოს შექმნის აუცილებლობას და მის მნიშვნელოვან როლს წევრი სახელმწიოფოებისთვის

ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ.

ავტორი ხაზს უსვამს შავი ზღვის მნშვნელობაზე რეგიონში,შავი ზღვა როგორც დამაკავშირებელი რგოლი და ქვეყნების მხრიდან გამოწვეული ინტერესები შავი ზღვის მიმართულებით, ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს მეთოდოლოგიის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში.

თავი პირველი ნატო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

პირველ თავში სამი ძირითადი საკითხი იქნება წარმოდგენილი, პირველ ქვეთავში მიმოვიხილავთ, თეორიის როლს საერთაშორისო ურთიერთიბებში, თეორიის არსებობის აუცილებლობას და მის მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკაზე, ხაზგასმით იქნება წარმოდგენილი რეალიზმის თეორია და მისი მნიშვნელობა დღევანდელი თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის. მეორე ქვეთავში წარმოდგენილი იქნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენები, კერძოდ ცივი ომის გამომწვევი მიზეზები, ნატოს შექმნის აუცილებლობა, თურქეთის ნატოში გაწევრიანების მიზეზები და მისი გეოგრაფიული მნიშვნელობა ალიანსისთვის. მესამე ქვეთავში განვიხილავ ცივი ომის შემდგომ განვითარებულ ურთიერთობებს ნატოსა და თურქეთს შორის.

1.1 რეალიზმი როგორც ქცევის მოტივაცია თურქეთის საგარეო პოლიტიკაში

არ არსებობს თეორია, საერთაშირისო ურთიერთობებში რომელიც სრულად და ყოვლისმომცველად ახსნის საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ყველა კონფლიქტსა თუ თანამშრომლობით აქტს. თუ რომელიმე თეორიას ამ სფეროს შესწავლის პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია, ეს რეალიზმია. რეალიზმი დომინირებდა აშშ – ში „ცივი ომის“ პერიოდში.

რეალისტური ტრადიციის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელია ნიკოლო მაკიაველი. მისთვის სახელმწიფოს გადარჩენა უმთავრესი იყო, თავის ნაშრომში „მთავარი“ საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა მოიპოვო, შეინარჩუნო და

გააფართოვო ძალაუფლება. მაკიაველი ასევე ამბობ, რომ თუ მმართველმა არჩევანი უნდა გააკეთოს სიყვარულსა და შიშს შორის, მისი მსახურების მხრიდან, მან შიში უნდა აირჩიოს. მმართველს შეუძლია იყოს სასტიკიც, თუ ეს შტრიხი მის ხალხს ლოიალურსა და ერთიანს გახდის, ისა ასევე აღნიშნავს რომ ლიდერი არ უნდა სარგებლობდეს ქრისტიანული ეთიკით, იმდენად რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს, მაიკიაველს სწამდა, რომ გრძნობების გარეშე, მორალზე დაფუძნებული მოქმედება არის წარმატების საწინდარი. ფაქტი, რომ ხალხის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მმართველის და სახელმწიფოს ბედთან არის მაკიაველის და საერთოდ პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი მოსაზრება.

თომას ჰობსის შეხედულებები ითვლება რელიზმის ფუნდამენტად. თავის ნაშრომში ,,ლევიათანი'' ჰობსი ცდილობს დედუქციის საშუალებით ახსნას პოლიტიკური სინამდვილის ბუნება, ის ამბობს რომ სახელმწიფო არის ხელოვნური ადამიანი, უფრო დიდი და უფრო ძლიერი ადამიანთან შედარებით რომელიც უსაფრთხოებისთვის და თავდაცვისთვის არის შექმნილი. პოლიტიკური ცხოვრების ფუნდამენტური არსის გასაგებად, ჰობსი წარმოგვიდგენს ადამიანებს, ქალებსა და კაცებს საწყის მდგომარეობაში, გარემოში სადა ჯერ არ იყო გამოგონებული სუვერენული სახელმწიფო.იგი ამ მდგომარეობას უწოდებს ბუნებრივ მდმარეობას (State of nature). ბუნებრივ პირობებში ყოველი მამაკაცი, ქალი და ბავშვი საფრთხეშია, ყველა სხვა დანარჩენის მხრიდან,აქვთ ერთმანეთის მუდმივი შიში, რადგანაც მათი სიცოცხლე მუდმივად საფრთხეშია, არავის აქვს უსაფრთხოების გარანტი. ბუნებრივი მდგომარეობა პიროვნული დონიდან გადადის სახელმწიფო დონეზე და წარმოიქმნება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემა რაც გამოწვეულია საერთაშორისო სისტემის ანარქიულობით

ჰობსის თქმით სუვერენულ სახელმწიფოს მუდმივად დაცვა სჭირდება, ავტომაურად ანარქიული სისტემა გულისხმობს ფაქტობრივ ან პოტენციურ ომის

მდგომარეობას. მისი თქმით ომი არის უკანასკნელი საშუალება იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა შეაჯერონ პრობლემები.

ისტორიკოსების, სამხედრო მოღვაწეების, მეცნიერებისა თუ უბრალოდ ინტელექტუალების ნააზრევიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის 5 დაშვება, რომელსაც რეალისტური თეორია ემყარება:

1. სახელმწიფოები არიან მთავარი მოქმედი აქტორები და შესაბამისად ისინი წარმოადგენენ შესწავლის მთავარ ობიექტებსაც. რაც შეეხება სხვა აქტორებს (არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები და ა.შ.), მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტი ძალაუფლებისკენ ისწრაფვიან, მაინც არ წამოადგენენ დამოუკიდებელ მოთამაშეებს;

2. 2. სახელმწიფო არის უნიტარული აქტორი, ანუ ის საერთაშორისო სისტემაში დგას როგორც ერთი ინტეგრირებული სუბიექტი. რაოდენ დიდი დაძაბულობაც არ უნდა იყოს ქვეყანაში (მინისტრებს შორის დაპირისპირება, არეულობა მთავრობაში და ა.შ.), სახელმწიფო მაინც ერთ მწყობრ პოზიციას აყალიბებს. ცხადია, გამონაკლისები არსებობს, სამოქალაქო ომში ჩაძირული სირია ერთ – ერთი ასეთი მაგალითია;

3. სახელმწიფო რაციონალური აქტორია, რომელიც ყოველთვის იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც, მისი ლიდერების აზრით, საუკეთესოა მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება ყოველთვის კარგ შედეგს მოიტანს, გასათვალისწინებელია ის, რომ მმართველები არასრული ინფორმაციის ფლობის პირობებში მოქმედებენ, შესაბამისად შეცდომების ალბათობა მაღალია.

4. ეროვნული უსაფრთხოება სახელმწიფოსთვის უმთავრესი საკითხია. უსაფრთხოების, სამხედრო და სტრატეგიული თემები მუდმივად პირველ ადგილებზეა მმართველისთვის და გადის ე.წ. high politics – ში.

5. სახელმწიფოები მოქმედებენ ისეთ კონტექსტში, სადაც არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, შესაბამისად გარემო ანარქიულია, აქტორებს მოქმედების სრული თავისუფლება გააჩნიათ, იქამდე სადამდეც სხვა მის მაგვარი ელემენტები არ შეუშლიან ხელს.[2]

ამ ძირითად პრინციპებს ემყარება რეალისტური თეორია. ის დღესაც აქტუალურია, მის ხანგრძლივ სიცოცხლეს, ალბათ, ის განაპირობებს, რომ მისით მოვლენების ახსნა ყოველთვის უფრო მარტივია, ვიდრე სხვა თეორიებით.

დღევანდელი თურქეთის საგარეო პოლიტიკის მოტივაციად აფსოლუტურად შესაძლებელია მივიჩნიოთ რელიზმის თეორია, მარშაიმერის მიერ შემოთავაზებულ სამ ძირითად ფორმას, რომელიც სახელწიფოს საქციელს გამოხატავენ დღევანდელი თურქეთის პოლიტიკა სრულ თანხვედრაშია მასთან.

მირშაიმერის სახელმწიფო საქციელის სამ ძრითად ფორმა:

1) სახელმწიფორბს ნამდვილად ეშინიათ ერთმანეთის რადგან მუდმივად საშიშროების მოლოდინში არიან სხვა სახელმწიფოების მხრიდან;

2) სახელმწიფოები დამოკიდებებულები არიან მხოლოდ საკუთარ თავზე, რადგან სხვა სახელმწიფოები პოტენციური საფრთხეს წარმოადგენენ მათთვის. როგორ კენეტ უოლცი აღნიშნავს სახელმწიფოები მოქმედებენ ,,

[2] რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში
https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/21/realism-international-relations/

თვით დახმარების'' რეჟიმში. ალაინსები კი განიხეილება დროებითი მოვლენა და აბსოლუტურად შესაძლებელია დღეის მოკავშირე გახდეს ხვალინდელი მეტოქე და დღეის მტერი ხვალინდელი მოკავშრე. აქედან გამომდინარე რელისტები ასკვნიან, რომ სახელმწიფოები უნდა იყვენე ეგოისტები და იზრუნონ საკუთარ ეროვნულ ინეტერსებზე. ეს მოსაზრება უცვლელი რჩება როგორც გრძელვადიან ისე მოკლევადიან პირობებში.

3) სახელმწიფოები ცდილობენ გაზარდონ ფარდობითი ძლიერება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რადგან რაც მეტია სამხედრო უპირატესობა მით უფრო უსაფრთხოა სახელმწიფო. თითოეული სახელმწიფოს აქვს სურვილი იყოს ძლიერი სამხედრო რადგან ეს არის საუკეთესო გზა უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება საშიშ გარემოში.

თურქეთის ნატოში გაწევრიანების მთავარი მიზეზი მისი სუვერენულობის შენარჩუნება იყო, საბჭოთაკავშირიდან მომავალი საფრთხე მიესაკუთრებინა თურქეთის ტერიტორიები, ხელს უშლიდა თურქეთს განვითარებისთვის, ეკონომიკური და სამხედრო წინსვლისთვის.

დღესდღეობით რადიკალურად განსხვავდება თურქეთი, მეორე მსოფლიო ომის შემდომი პერიოდთან შედარებით, ახლა თვითონ ცდილობს იყოს ძლიერი სახელმწიფო, დაიკავოს მისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკის არენაზე, წარმოადგენდეს ძლიერ სახელმწიფოს. მისი გადაწყვეტილება რუსეთთან დაახლოების და დაბრკოლებების მიუხედავად, გადაწყვეტილების სიმყარე რუსეთისგან S-400- ის შესყიდვის საკითხში, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ შემდგომში თურქეთი იყოს დამოუკიდებლად მოქმედი სახელწიფო და მისი სამხედრო უპირატესობა აღემატებოდეს სხვა სახელმწიფოებს.

1.2 ნატო-თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მსოფლიოს ახალი მოწყობის ფორმა წარმოიშვა, მსოფლიო ორ პოლუსად იქნა გაყოფილი. საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული პოლიტიკით დაღლილი დასავლეთ ევროპის ქვეყნები გამოსავალს კოლექტიურ თავდაცვაში ხედავდნენ, ამიტომ მათ გაერთიანებაზე დაიწყეს ფიქრი და ამიტომ 1948 წლის 17 მარტს ლუქსემბურგმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ბრიუსელში თავდაცვითი ალაინსი შექმნეს. ეს ამერიკელებისთვის კარგი სიგნალი იყო იმის ნიშნად, რომ ევროპა მზად იყო დიდი ალიანსის შექმნისთვის და ახლა უკვე მათი ჯერი იყო.

1949 წლის 4 აპრილს შეერთებულმა შტატებმა, კანდამ, იტალიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, ნორვეგიამ პორტუგალიამ, ისლანდიამ და დანიამ ხელი მოაწერეს ვაშინგტონის ხელშეკრულებას, შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია.

კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა ეს ის ძირითადი პრინციპები და ღირებულებებია, რაც აერთიანებს ნატოს წევრ სახელმწიფოებს. ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენებას გულისხმობს ასევე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ნატოს წევრი ქვეყნები მზად იყვნენ თავიანთ რიგებში ახალი ქვეყნის მისაღებად.

თურქეთი მეორე მსოფლიო ომში ნეიტრალურ მხარეს წარმოადგენდა. მრავალი მკვლევრის მოსაზრებით, თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიას არაოფიციალური გზებით მხარს უჭერდა. ამან გამოიწვი ის, რომ 1945 წელს განსაახლებელი, 1925 წლის თურქულ-საბოჭოური ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად გაუქმა. ამასთან, 1939 წლიდან დასავლეთთან სამხედრო კავშირის დამყარებაც დაჩქარდა, მეორე მსოფლიო ომის

დასრულების შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირის მიერ მოთხოვნებმა, დასავლეთთან ინტეგრაციისათვის შესაბამისი პოლიტიკური ნიადაგი შექმნა.

ისმეთ ინენიუს (თურქეთის მე-2 პრეზიდენტი 1938-1950 წლებში) მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გატარებული ნეტრალური პოლიტიკა სწორი გადაწყვეტილება იყო თურქეთისთვის. ომიდან მსუბუქი ჭრილობებით მოახერხა თავის დაღწევა, თუმცა შემდგომ პერიოდში ნეიტრალური პოლიტიკა თურქეთს დასაცავად საკმარისი აღარ იყო. ეკონომიკა და უსაფრთხოება თურქეთისთვის ცივი ომის პერიოდში დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელოვანი მიზეზი იყო. ამ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ნატოს წევრობა იყო.

თურქეთმა ნატოს წევრობისთვის პირველი განცხადება 1950 წლის მაისში, ხოლო მეორე განცხადება აგვისტოში შეიტანა. აშშ-მ თურქეთის ამ თხოვნას დადებითად შეხვდა, თუმცა დასავლეთი ევროპის ქვეყნები მიიჩნევდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის გაღიზიანებას გამოიწვევდა, ამიტომ თურქეთი ისევ ნატოს კარს მიღმა დარჩა.

1950 წლის 25 ივნისს დაწყებული კორეის ომი თურქეთისთვის დასავლეთ ბლოკში თავის დამკვიდრების შანსი აღმოჩნდა. გაეროს მიერ გაკეთებული განცხადებით ითქვა, რომ ეს თავდასხმა მშვიდობას არღვევდა ამიტომ მშვიდობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო შესაბამისი ღონისძიების გატარება. თურქეთმა ეს განცხადება უყურადღებოდ არ დატოვა, 4500 კაციანი შენაერთი კორეაში გააგზავნა და გაერთიანებულ ერების სარდლობას დაუქვემდებარა. თურქეთი ამ ნაბიჯით ამერიკის შეერთებულ შტატებზე შთაბეჭდილების მოხდენას და ნატოს საკითხში მხარდაჭერას ელოდა.

თურქეთის მიერ კორეის ომში ნაჩვენებმა წარმატებამ თურქეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შეამცირა, გარდა ამისა საბჭოთა კავშირის მიერ ევროპაზე შეტევის შემთხვევაში საჭირო იყო საბჭოეთის ახლოს ბაზების ქონა.

ამისთვის კი ყველზე კარგი ადგილი თურქეთი იყო, რის გამოც თურქეთის მიმართ ინტერესების კიდევ უფრო გაიზარდა.

1951 წლის 15 სექტემბერს ოტავაში შეკრებილი ნატოს მინსტრთა სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთი ნატოს წევრი გამხდარიყო.1952 წლის 18 თებერვალს კი თურქეთის პარლამენტმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, რითაც ის ოფიციალურად გახდა ნატოს წევრი. თურქეთის უსაფრთხოება ნატოს უსაფრთხოების ქვეშ იქნა მოქცეული.

თურქეთის ნატოში მიღების წინაპირობებად ასევე შეგვიძლია დავასახელოთ აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის, ჰარი ტრუმენის, დოქტრინა, რომელიც 1947 წლის 12 მარტს კონგრესში სიტყვით გამოსვლისას გაახმოვანა. [3]

ტურმენის აზრით, ამერიკა მატერიალურად და სამხედრო ფორმით უნდა დახმარებოდა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იბრძოდნენ კომუნიზმის წინააღმდეგ ან და იყვნენ კომუნისტური ქვეყნების ზეწოლის ქვეშ (აქ ის საბერძნეთსა და თურქეთს გულისხმობდა), ამისათვის მან კონგრესიდან 400 მილიონის გამოყოფა მოითხოვა, კონგრესმა ეს მოთხოვნა 22 მაისს დააკყმაყოფილა და გამოყო 400 მილიონი, საიდანაც 300 მილიონი საბერძნეთს, ხოლო 100 მილიონი თურქეთს გადაეცა.

საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისგან ყარსის, ართვინისა და არდაჰანის გადაცემისა და ამასთან ერთად სრუტეების საკონტროლოდ ბაზების მოთხოვნა თურქეთი იძულებული გახადა ამერიკისაგან სამხედრო დახმარება მოეთხოვა, რაც ამერიკამ ტრუმენის დოქტრინის საფუძველზე შეძლო.

თურქეთი გადაკვეთის წერტილი და სამი კონტინენტის ცენტრალური კერაა, თავისი უნიკალური მდებარეობით ევროპისა, აზიის მიმდებარე აფრიკის მთელ

[3] ტრუმენის დოქტრინა 1947
https://history.state.gov/milestones/1945-1952/truman-doctrine

ხმელთაშუა ზღვაზე. ეს არის ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღერძის მნიშვნელოვანი გადაკვეთის წერტილი გეოეკონომიკური და გეოკულტურული თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს საუკუნოვანი ტრადიციული, ისტროიული, კულტურული და ძლიერი ეკონომიკური კავშირები ბალკანეთთან, კავკასიასთან, ახლო აღმოსავლეთთან. ამ კონტექსტში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამიტომ თურქეთი, როგორც სტრატეგიული მოკავშირე ნატოსთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, აღსანიშნავია ის მათი მოკავშირება ცივი ომის პერიოდში, რომელი საბჭოთაკავშირის დაშლამდე გრძელდებოდა.

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს "ცივი ომის" რეჟიმში ყოფნა დიდხანს მოუწია. გარკვეული წინაპირობები ახლდა ამ პროცესის დაწყებას. ეს იყო გავლენის სფეროებზე ზეგავლენის მოპოვება და ორი განსხვავებული იდეოლოგიის დაპირისპირება, რაც ახასიათებდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს „ცივი ომის" ნიშნის ქვეშ.

ცივი ომი ნიშნავს სახელმწიფოთა ან მათ დაჯგუფებათა მწვავე დაპირისპირებას, რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიების გამო. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა. რა დიდი ზეგავლენა იქონია ცივი ომის ეპოქამ კაცობრიობის ისტორიაზე და რა კარდინალური ძვრები განიცადა ამ პერიოდში ადამიანთა წარმოდგენებმა დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული. მკვლევართა მოსაზრებით, მსოფლიო ერთგვარად შეიკუმშა, დაპატარავდა. ნებისმიერ კუთხეში შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გავრცელება, აქედან გამომდინარე, უაღრესად ადვილი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის იდეების მიწოდება და ადამიანთა შეხედულებებისა და განწყობილებების მართვა.

ამ მიზნით გამოიყენეს პროპაგანდა “ცივი ომის” დროს, როგორც იდეების გავრცელების ხელოვნება.

XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა იმ ძირითად შინაარსს, რომ მსოფლიოს ორ უმთავრეს პოლუსს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა “ცივი ომი” გამოხატავდა. ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, 1945 წელს, სსსრ კავშირი და აშშ წარმოადგენდნენ მსოფლიოს ორად ორ სუპერსახელმწიფოს.

საბჭოთა კავშირმა, ფაშიზმისაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ შემდგომ თვითონვე მოახდინა ზოგიერთი ქვეყნის ოკუპაცია. გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-მ დასავლეთ ევროპის გათავისუფლების საქმეში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამარცხებული გერმანიის ტერიტორია ოთხ საოკუპაციო ზონად იყო დაყოფილი, მალევე გახდა ცხადი, რომ სსსრ კავშირს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განზრახული ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის დამყარება. სსსრ კავშირს აშკარად დაუპირისპირდნენ აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც დაინახეს კომუნიზმის ექსპანსიის რეალური საფრთხე. ამიტომ ჩამოყალიბდა ე.წ. “სსსრ კავშირის აგრესიის შეკავების თეორია“. ხშირად, ეს დაპირისპირება ლიტერატურაში, “დასავლეთ-აღმოსავლეთის” დაპირისპირების სახელით მოიხსენიება.

პირველი სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა, 1950-იანი წლების პირველ ნახევარში ნატოს ფარგლებში ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის ჩამოყალიბებული ტრანსატლანტიკურ სოლიდარობა, საბჭოთა ხელისუფლება ნათლად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს გააჩნდათ მტკიცე ერთიანობა, თითოეული ნატოს წევრი ქვეყანა გამოთქვამდა თავის მზადყოფნას საკუთარი წვლილი შეეტანა კომუნიზმის

გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომაც მოსკოვმა განიზრახა გარკვეული ბზარი შეეტანა დასავლეთის ერთიანობაში.

გერმანიის გაერთიანების იდეა იქცა მცდელობის იარაღად, კრემლი თითქოსდა თანხმობას აცხადებდა დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის კვლავ გაერთიანებაზე იმ პირობით, თუკი გაერთიანებულ გერმანიას ექნებოდა ნეიტრალური სტატუსი და, შესაბამისად, იგი ნატოს გარეთ დარჩებოდა. მოსაზრებასთან დაკავშირებით მწვავე დებატები გაიმართა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში. ისინი სკეპტიკურად აღიქვამდნენ ტოტალიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოს მხრიდან რაიმე კეთილი ნების არსებობას. ბევრი სახელმწიფო მოღვაწე და გამოჩენილი დიპლომატი იწონებდა რუსების მიერ წამოყენებულ წინადადებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, საბოლოო ჯამში გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრანსატლანტიკურმა ერთიანობამ. დასავლეთი გერმანიის იმდროინდელმა კანცლერმა, კონრად ადენაუერმა, დიდი როლი ითამაშა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. ნატომ და დასავლურმა სოლიდარობამ გამოცდას გაუძლო და, შესაბამისად, ალიანსის წევრი ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეები ერთ საერთო აზრზე დარჩნენ. მას თავისი მნიშვნელობა მისი არსებობიდან პირველივე ეტაპზევე უნდა დაემტკიცებინა, იმ დროს, როდესაც ალიანსი რამდენიმე წლის ჩამოყალიბებული იყო. სწორედ ეს იყო მთავარი მიზანი.

საბჭოთა კავშირის მხრიდან მთელი ცივი ომის პერიოდის განმავლობაში ნატოს მიმართ უძლიერესი პროპაგანდა იყო ამოქმედებული. ყველანაირი მორიდების გარეშე, საბჭოთა პარტიული მოღვაწეები და პოლიტოლოგები აბსურდულ ცილისწამებასა და კრიტიკას აფრქვევდნენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობაზე. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც საბჭოთა იმპერიისგან ესოდენ დიდი ყურადღების მიპყრობას ერთგვარი „დამსახურება" სჭირდებოდა და ნათლად მიანიშნებდა იმაზე, რომ ნატო მათთვის რეალურ ძალას წარმოადგენდა და ვერანაირად ვერ დაუშვებდა კომუნისტური ბლოკის მხრიდან რაიმე სახის აგრესიის

განხორციელებას, რითაც იგი სსსრ-სა და მის სატელიტებს რეალურ პრობლემებს უქმნიდა. პრობლემა, პირველ რიგში დაკავშირებული იყო ალიანსის მტკიცე ნებასთან, დაეცვა დემოკრატიული ღირებულებები. ამ იდეის განხორციელების მიზნით ნატოს მხრიდან ერთგვარი წითელი ზოლი იქნა გავლებული, რომლის გადაკვეთასაც საბჭოთა შეიარაღებული ძალები ვერ ახორციელებდნენ, ნათელი დადასტურება არის ის ფაქტი, რომ „ცივი ომის" თითქმის ორმოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ერთხელაც არ დასჭირვებია აემოქმედებინა ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რისი მიზეზიც იყო ის ფაქტი, რომ ნატოს წევრ ქვეყანებზე და, შესაბამისად, მთელ ალიანსზე თავდასხმას არ ჰქონია ადგილი და ნატოში გაერთიანება უსაფრთხოების მყარ გარანტიას იძლეოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნატოს სახით ყველა ხედავდა ერთსულოვან ალიანსს, რომელსაც გააჩნდა მტკიცე ნება, დაეცვა ყველაფერი, რაც მისი წევრი ქვეყენებისათვის მნიშვნელოვანი იყო - თავისუფლება, დემოკრატია, კეთილდღეობა - და ამასთანავე მათ დასაცავად ალიანსს საკმარისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალიც გააჩნდა.

ცივი ომი - ეს იყო ომი შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე, თუმცა რეალური საფრთხე მისი "გაცხელების" ყოველთვის არსებობდა. კუბის კრიზის დღეები, როდესაც მსოფლიო ბირთვული კატასროფის წინაშე დადგა 1962 წელს.

აშშ-ის სავაჭრო ინტერესებს ბრძოლა გამოუცხადა ფიდელ კასტროს კომუნისტურმა რეჟიმმა. მათთვის მთავარ პრობლემას ამერიკელთა მიერ ევროპის ტერიტორიაზე განთავსებული იუპიტერის ტიპის რაკეტები წარმოადგენდა. ინგლისსა და იტალიაში განთავსებულ რაკეტებზე საბჭოთა კავშირს შეეძლო თვალი დაეხუჭა, მაგრამ თურქეთის ქალაქ იზმირში საშუალო მოქმედების რადიუსის 15 რაკეტა მის პრესტიჟსა და უსაფრთხოებაზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებდა.

1962 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირმა კუბაში ბირთვული ქობინების განთავსება

დაიწყო, 8 და 16 სექტემბერს საბჭოელებმა კუნძულზე SS-4 ტიპის რაკეტების ორი პარტია შეიტანეს. გეგმავდნენ ცხრა ბაზის აშენებას, მათ შორის ექვსს SS-4, ხოლო სამს - SS-5 ტიპის რაკეტებისთვის.

თეთრი სახლიდან 26 ოქტომბერს კრემლში წერილი გაიგზავნა იმის ნიშნად, რომ კუბიდან ბირთვული შეიარაღების გატანა იქნებოდა ორ სახელმწიფოს შორის ურთერთობის მოგვარების საწინდარი.
კუბის თავდაცვის ძალებმა 27 ოქტომბერს ამერიკული მზვერავი U-2 ჩამოაგდეს. ამ ფაქტმა უკიდურესად გაართულა ვითარება. საჭირო იყო ორივე სახელმწიფოს მხრიდან დათმობებზე წასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბირთვული კატასტროფა გარდაუვალი ხდებოდა. იმავე დღეს ამერიკელებმა კრემლს აუწყეს, რომ თუ საბჭოთა კავშირი კუბიდან გაიტანდა თავის რაკეტებს, თანახმა იყვნენ ექვს თვეში თურქეთიდან გაეტანათ თავიანთი ბირთვული არსენალი.

ნიკიტა ხრუშოვმა, 28 ოქტომბერს გასცა ბრძანება, კუბიდან ბირთვული შეიარაღების გატანის შესახებ, კარიბის კრიზისის დასრულების თარიღად სწორედ 28 ოქტომბერი ითვლება. სანქციები კუბისადმი აშშ-მა 20 ნოემბერს შეწყვიტა, როდესაც კენედიმ კუბის წინააღმდეგ საზღვაო კარანტინის გაუქმების ბრძანება გასცა. ცოტა ხანში საბჭოთა კავშირმა კუნძულიდან თავისი შეიარაღება გაიტანა. შეთანხმების შესაბამისად, ექვს თვეში აშშ-მა თურქეთიდან უკანასკნელი "იუპიტერი" გაიტანა.

საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ ავღანეთში 80-იანი წლების პირველ ნახევარში დაძაბულობა ისევ მკვეთრად გაძლიერდა, ორივე მხარემ მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ხარჯები, ბირთვული არსენალი და სამხედრო ბაზების რიცხვი. იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმა კულმინაციას მიაღწია, არსებითი ცვლილებები შეიტანა “ცივი ომისა” და საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწყებულმა და განხორციელებულმა “გარდაქმნის” კურსმა.

საერთაშორისო ვითარება სასიკეთოდ შემოაბრუნა, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ და საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავღანეთიდან, ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმების დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლა, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მომასწავებელი გახდა.

1992 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმიც მთელ ევროპაში დაემხო, დაიწყო ცივი ომის შეწყვეტის პროცესი. მიუხედავად ცივი ომისა, რასაც თან ახლდა დასავლეთ-აღმოსავლეთის მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება, საერთაშორისო სამართალში შემუშავდა მთელი რიგი პროგრესული, ზოგადდემოკრატიული ნორმები, რომლებმაც საერთაშორისო სამართალი ჭეშმარიტად საყოველთაო საერთაშორისო მართლწესრიგად აქციეს. შეიქმნა სოლიდური ბაზა კაპიტალისტური, სოციალისტური და არენაზე ახალგამოსული ,,მესამე სამყაროს ქვეყნების” ურთიერთობებისათვის.

დღევანდელ პერიოდში ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი, გაღიზიანებულია იმ ფაქტორით, რომ ნატო „ცივ ომში” გამოვიდა, როგორც გამარჯვებული ალიანსი. იხსენებენ რა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის კონფრონტაციის პერიოდს, ამტკიცებენ, რომ აშშ-ც არანაკლები აგრესორი და ოკუპანტი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირი, და დაჟინებით ამტკიცებენ, რომ თუ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ ევროპაზე ვრცელდებოდა და მას ამ რეგიონში ჰყავდა დისლოცირებული თავისი შეიარაღებული ძალები, აშშ-ის სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ობიექტები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყო განთავსებული.

საბოლოოდ, სპეციალისტები თვლიან, რომ "ცივი ომის" ისტორიაში, პროპაგანდამ ძალზე დიდი როლი ითამაშა. ამ ყველაფრის მეშვეობით ამერიკულმა პოლიტიკურმა წრეებმა მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პრობლემების გადაწყვეტა შეძლეს. საბჭოთა ბლოკის დამარცხებაში ამერიკულ პროპაგანდას დიდი წვლილი მიუძღვის. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, სტივენ სპილბერგის გამონათქვამი: "მე დარწმუნებული ვარ, რომ კომუნიზმი ტელევიზიამ მოკლა". [4]

1.3 ნატო-თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის შემდეგ პერიოდში

მსოფლიოში მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრება, მშიდობის დამყარება, ომების თავიდან აცილება ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად რჩება კაცობრიობის ისტორიაში, მშვიდობიანი მსოფლიოს აუცილებლობა დასაბამიდანვე იდგა, თუმცა მშვიდობაზე საუბარი უფრო და უფრო მეტად აქტუალური გახდა ცივი ომის დასრულების და ატომური იარაღის გამოგონების შემდეგ.

გასული საუკუნის ისტორია დატვირთულია უამრავი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მომენტით, რომელმაც შეცვალა კაცობრიობის ისტორია, მსოფლიო საფინანსო კრიზისი, I და II მსოფლიო ომები, დიდი დეპრესია, ატომური იარაღის შექმნა და ა. შ. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს საუკუნე ყველაზე მძიმეა მსოფლიო ისტორიის მანძილზე.

[4] ცივი ომის პერიოდიზაცია და სამართლებრივი შედეგები https://militarium.org/civi-omis-samxedro-analizi/;

საბჭოთა კავშირი, რომელმაც 70 წელი იარსება და რომელიც მტრის ხატი იყო მთელი განვითარებული მსოფლიოსთვის, XX საუკუნის მიწურულს ნგრევას იწყებს. გაერთიანება, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე ყველაზე მეტ ფართობს ფლობდა, სამხრეთ კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის და მცირე აზიის ჩათვლით, დაინგრა. ლიბერალურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა კომუნიზმთან ბრძოლაში.

კაცობრიობის მომვალზე კიდევ ერთხელ დააფიქრა მსოფლიო საზოგადოება ამ მოვლენამ, არსებული მსოფლიო წესრიგის მდგომარეობასა და მის პერსპექტივებზე. საერთაშორისო ვითარება ძირეულად შეცვალა ცივი ომის დასრულებამ და საჭიორება წარმოშვი ახალი რეალობის გააზრების, მათ თვალწინ იქმნებოდა ახალი რეალობა.

ცივი ომის შემდეგ, როდესაც გეოპოლიტიკის კონცეფცია განისაზღვრა ახალი დინამიკის ფარგლებში, ახალი შესაძლებლობები და ახალი ჰორიზონტი წარმოიქმნა თურქეთმა. მან მსოფლიო პოლიტიკის ახალ ვალდებულებები აიღო.

67 წლის განმავლობაში ნატო თურქეთის უსაფრთხოების ცენტრალურ როლს ასრულებს. ალიანსმა თურქეთის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებული მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებაში და ასევე თურქეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალიანსში. ეს საერთო მიღებული ღირებულებები ორი მოკავშირისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ცივი ომის შემდეგ განვითარებულმა ცვლილებებმა, ალიანსზე ტრანსფორმაცია მოახდინა, რაც შესაბამისად გადაეცა მსოფლიო პოლიტიკას. დღევანდელი უსაფრთხოების სისტემის გარემოში, აუცილებელია ნატო-ს ორგანიზაციის წევრად ყოფნა, ვინაიდან ნატო მიზნად ისახავს მოკავშირეების ტერიტორიების დაცვას. ნატო-ს ტრანსფორმაციისთვის ჩატარებული კვლევები წარმატებული იარაღები იყო ნატო-ს ადაპტირება 21-ე საუკუნეში განვითარებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფუნდამენტურ ფასეულობებს, რომლებიც ნატო-სთვის უმთავრესია, როგორიცაა საერთაშორისო უსაფრთხოება და თავდაცვის ორგანიზების შენარჩუნდება. ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანია გახდეს საერთაშორისო

მნიშვნელობის პოლიტიკური კონსულტაციის ორგანიზაცია, რომელიც შექმნის საზოგადოებრივ ფორუმს, სადაც ჩაერთვებიან და მჭიდროდ ითანამშრომლებენ სხვადასხვა ქვეყანასთან და ორგანიზაციასთან ფორუმზე განიხილება რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების საკითხები და მათი უსაფრთხოდ მოგვარების გზები .

როგორც მუდმივი განვითარებადი ორგანიზაცია, ნატო ინარჩუნებს დამატებით როლებს და ვალდებულებებს, რათა მუდმივად შეცვალოს რისკები და გაბატონებული არასტაბილურობა.

თურქეთი ცდილობს ნატო-ს მიერ გაწეული ყველა ამოცანისა და როლის მხარდაჭერას ისე, როგორც ეს შესაძლებელია. 67 წლიანი ნატო-ს წევრობის განმავლობაში, თურქეთმა ნათლად აჩვენა მისი ვალდებულება მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში მსოფლიოს, ამავდროულად ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს პროგრამა - ,,პარტნიორობა მშვიდობისთვის'' საწვრთნელი ბაზების შექმნაში. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, თურქეთს ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს ნატოში და ამიტომ არ არის გასაკვირი თურქეთის აქტიური მონაწილეობა ალიანსის მისიებში.

თურქეთი ჩართული იყო ნატო-ერაყის მისიაში 2004-2011 წლებში, ასევე ნატოს ოპერაციებში კოსოვოში, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დღემდე ტოვებს სამხედროებს. აღსანიშნავია ISAF-ის მისია ავღანეთში, სადაც თურქეთი საფრანგეთთან ერთად მეთვალყურეობას უწევს ავღანეთის ტერიტორიას ქაბულის ჩათვლით, ავღანეთი დაყოფილია ალიანსის წევრი ქვეყნების კონტროლირებად სექტორებად.

დღესაც აქტიურად მონაწილეობს თურქეთი ნატოს მისიებში, იბრძვის ISIS-ის წინააღმდეგ, შეუცვლელია მისი როლი ხმელთაშუა ზღვის პატრულირებისას.

ხშირად თვითონ საჭიროებს ნატოსგან სამხედრო დახმარებას. 90-იან წლებში, სპარსეთის ყურის კრიზის დროს, ირანისგან მომდინარე საფრთხისგან ითხოვა თურქეთმა სამხედრო დაცვა, 2003 წელს კი ერაყის ომის დროს საჭიროებდა

მხარდაჭერას უსაფრთოების შესანარჩუნებლად. 2012 წელს სირიის სამოქალაქო ომის დროს, 2014 წელს კი სირიის მხრიდან მცირე მასშტაბიანი შემოტევის დროს მიიღო ბოლო დახმარება.

თურქეთმა ნატოს ფარგლებში ხუთი ძირითადი ხელშკრულება გააფორმა. ესენია: ნატო - SOFA (ნატოს ძალების სტატუსის ხელშკრულება, თურქეთში ამერიკის ძალების სტასუსი ხელშეკრულება (1954 წლის 23 ივნისის/ თანდართულ ნოტასთან ერთად). თურქეთის დახმარების ხელშეკრულება, სამხედრო ბაზების (სიმარტივეების) ხელშეკრულება (1954 წლის 23 ივნისი) და თურქეთსა და აშშ-ს შორის იზმირის (ჩიღლი) აეროპორტის გამოყენებასთან დაკავშირებით ტექნიკური ხელშეკრულებები. პირველი ხელშეკრულება ყველა ნატოს წევრი ქვეყნის მიერ იქნა ხელმოწერილი. თურქეთში ამერიკული ძალების სტატუსის ხელშეკრულება კი, თურქეთში შესაქმენილი ამერიკული ბაზების, ამ ბაზებზე მყოფი აშშ-ს ჯარებისა და მათი სტატუსისა და ბაზებზე სამოქმედო კანონების შესახებაა. ყოველივე ამათი რეგულირება კი დამატებითი პროტოკოლებით, რომ უნდა განხორციელდეს ეგეც იქნა ჩაწერილი. 1954 წლის 30 ივნისს პარლამენტისათვის წარდგენილი ხელშეკრულება 1954 წლის 2 ივლისს სახელმწიფო გაზეთში იქნა გამოქვეყნებული.

სამხედრო ბაზის ხელშეკრულების მიხედვით, ამერიკელებს შეეძლოთ თურქეთის ტერიტორიაზე სადაც მოესურვებოდათ სამხედრო ბაზა გაეკეთებინათ და ამ ბაზებზე მყოფი შენაერთები ნატოს კი არა აშშ-ს დაქვემდებარებაში იქნებიან. აშშ-სათვის მისი სურვილისამებრ ბაზების გაფართოების, საჭიროების შესაბამისად საქონლის დასაწყობების ნებართვა მიეცა. ამასთან ერთად ნატოს ფარგლებში ამერიკელებისათვის მიცემული უფლებები კიდევ უფორ გაფართოვდა. მაგალითად, საერთაშრისო გამოცდილების საპირისპიროდ, ამერიკა დაარსებული ბაზებისათვის ქირას არ იხდის, ამასთან ერთად აშშ-ს ჯარისათვის საჭირო ყველა სახის საჭიროებას აშშ-დან უზრუნველყოფს. გამოგზავნილ პროდუქციაზე საბაჟო თავისუფლება დაუწესდა, ვისთან როგორ და რა ფორმით იქნა დადებული გაურკვეველი ორმხრივი ხელშეკრულებებით ამერიკელ პერსონალს თავისი

ფოსტის შექმნისა და სარგებლობისა, საკუთარი რადიოს შექმნის და სარგებლობის ნებართვა იქნა მიცემული. ამ ფორმატით გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებათაგან, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უგულვებელყოფის ყველაზე მკაფიო გამოხატვა იყო სასამართლო განხილვის დათმობა. 1956 წლის 28 ივლისს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტორს მიერ ამერიკელებისათვის 4625 ნომრით გადაცემული ნოტით დგინდება, რომ ამერიკელების მიერ თურქეთში ჩადენილი დანაშაულები თურქული სასამართლოში არ განიხილება. მოვალეობის შესრულებისას ამერიკელების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე ამერიკელები მხოლოდ თავიანთ სასამართლოებთან აგებდნენ პასუხს. ის საკითხი კი მოვალეობის შესრულებისას იქნა თუ არა ჩადენილი დანაშაული ამასაც ამერიკული ორგანეობი გადაწყვეტენ. ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებებისა და მათი დანართების საფუძლვეზე შექმნილ ამერიკულ ბაზებს რაც შეეხება, 1970 - იან წლებში თურქეთში ამერიკული სამხედრო ბაზების რაოდენობა 101 იყო. 1960 - იან წლებში შექმნილი სამხედრო ბაზები და სარადარო ბაზები, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კონტროლის გარდა საბჭოთა კავშირის კონტროლისათვის იქნა შექმნილი. მაგალითისათვის, აშშ-ს მიერ ანკარაში, ბელბაშში, შექმნილი სიმოგრაფიული დაწესებულებით, საბჭოთა კავშირის მიერ ციმბირში მიწის ქვეშ ჩატარებული ატომური ცდების შკალა გაზომა, სინოპში და დიერბაქირის ფირინჩლიქში აშენებული რადაერებით კი საბჭოთა კავშირის ფარული სატელიტური საუბრები მოისმინა. ამ ბაზებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზა ყოველგვარი ეჭვების გარეშე ინჯირლიქის ბაზაა. 1951 წელს მშენებლო დაწყებული ბაზა 1954 წლს დასრულდა, აშშ-ს მიერ მსოფლიო მასშტაბით ძირითად ბაზის სტატუსის მქონე მცირერიცხოვან ბაზათა შორისაა და მას მიენიჭა 1000 მილიანი რადიუსით ამერიკის საჰერო ძალების მიერ შავი ზღვის, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და დარდანელთან ერთად ძირითადად ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი ტერიტორიების „ფიზიკური„ კონტროლი იყო. ეს საეჭვო ბაზა 1958 წელს გერმანიიდან ჩამოსული ამერიკელი საზღვაო ქვეითების მიერ თურქეთის

მთავრობის ნებართვის დალოდების საჭიროება არ ჩათვალეს და აქედან იორდანიაში წავიდნენ. ეს ბაზა ამავე წელს აშშ-ს მიერ ლიბანის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ამერიკელი პილოტი გარი პოვერსის ხელმძღვანელობით 1960 წლის 1 მაისს ამერიკული U-2 ტიპის თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების დაზვერვის მიზნით ინჯირლიქის ბაზიდან იქნა აფრენილი, თურქეთმა კი სადაზვერვო თვითმფრინავის, საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოგდების შესახებ, სამი დღის შემდგომ ისევ საბჭოთა კავშირის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებით გაიგო.

1978 წელს, ისრაელის მიერ პალესტინის ტელ-ზაატარ კამპის დაბომბვისას ინჯირლიქის ბაზიდან ლოჯისტიკური მხარდაჭერა იქნა გაწეული, კვლავ 1986 წელს აშშ-ს თვითმფრინავების მიერ ლიბიის დაბომბივსას რამდენიმე F-11 თითმფრინავი ინჯირლიქის ბაზაზე ჩამოტანის შესახებ მრავალი წყარო ადასტურებს. ამასთან ერთად, პირველი ყურის ომის დროს აშშ-მ ინჯირლიქში სამხედრო არსებობა ირანის წინაღმდეგ მუქარისათვის გამოიყენა, ოზალის მიერ 1 ყურის ომის დროს აშშ-ს ერაყში განსახორციელებელ ყველა მოქმედებისათვის, ინჯირლიქიდან აფრენილი აშშ-ს სამხედრო თვითმფირნავებით დაბომბვის ნებართვა იქნა მიცემული. ბაზა ერაყის ომის შემდგომაც ანუ 1991 – 2003 წლებშიც იქნა გამოყენებული. მარტის ნებართვის შემდგომ AKP მთავრობის მიერ აშშ-სათვის ბოდიშისათვის ღია კარი მიეცა და ბაზა აშშ-ს პირადი გამოყენების სივრცედ იქცა. ისრაელისა და ლიბანის დაპირისპირებაში აშშ-ს მიერ ინჯირლიქის გავლით ისრაელისათვის გაწეული დახმარების შესახებ სერიოზული მოსაზრებების არსებობის მიუხედავად ჯერ კიდევ არ გამოძიებულა, როგორც ცნობილი მერსინის თაშუჯუს ნატოს პორტიდან დაძრული ტყვია-წამლით სავსე 15 ტრაილერი ჯერ სამხრეთ კვიპროსზე ჩავიდა და იქიდან კი ერაყში გაიტანეს.

თავი მეორე: ნატო -თურქეთის ურთიერთობების გაუარესების პოლიტიკური ფაქტორები და შავი ზღვის აუზი

ამ თავში მიმოვიხილავთ ნატო-თურქეთის ურთერითობებზე დღევანდელ პერიოდში, მათ დაბრკოლებებზე და გამოწვევებზე. ჩვენი მთავარი სათქმელი იქნება ალინსსა და თურქეთს შორის გაჩენილი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამომწვევი მიზეზები. განვიხილავთ ნატო-თურქეთის ურთიერთობების პერსპექტივებს. გარდა ამის განხილული იქნება შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელობა ნატოსთვის და ამ ინტერესის შესაბამისობას თურქეთისთვის, როგორც სტრატეგიული პარტნიორისთვის. თითეულ ქვეთავში

2.1 შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელობა და ნატო-თურქეთის და რუსეთის ურთიერთობები

შავ ზღვა, შეიძლება თქვას, რომ ყველაზე ახალგაზრდა ზღვაა მსოფლიოში. შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ზღვაა დედამიწაზე, შავი ზღვა მეცნიერთა ყურადღებას თავისი განსაკუთრებული ისტორიით, გეოგრაფიითა და საოცარი ფლორითა და ფაუნით იპყრობს. შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე მეტად იზოლირებული, ჩაკეტილი ზღვაა, რომელიც ანატოლიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას შორისაა მოქცეული. მისი ზედაპირის ფართობი დაახლოებით 432000 კმ^2-ა,საშუალო სიღრმე 1240 მეტრია, წყლის მასა 547000 კმ^3-ს შეადგენს, ყველაზე ღრმად კი 2212 მეტრი მიიჩნევა. შავი ზღვაზე უგრძესი სანაპირო ზოლი უკრაინას ეკუთვნის (1628კმ), მას თურქეთი მოსდევს (1400კმ).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დაპირისპირებისას შავი ზღვის აკვატორია ჩაკეტილ ზონად მიიჩნეოდა, რადგან NATO-ს წევრ თურქეთს ყოველთვის შეეძლო, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები ჩაეკეტა და საბჭოთა სამხედრო ხომალდები

ხმელთაშუა ზღვაში არ გაეშვა, მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა და სარაკეტო ტექნიკის განვითარების პირობებში, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის თანამედროვე კორვეტებს ფრეგატებსა, და დიზელისძრავიან წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ შავი ზღვის აკვატორიიდან ფრთოსანი რაკეტებით (მათ შორის - ბირთვულქობინიანებით) დაემუქრონ NATO-ს წევრ ევროპულ ქვეყნებს, რაც კარდინალურად ცვლის სამხედრო-პოლიტიკურ ბალანსს არა მარტო შავი ზღვის აკვატორიაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ გააჟღერა სურვილი შავ ზღვაში გააქტიურების დაწყებაზე, NATO-ს ვარშავის სამიტზე, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლის უარყოფითი საპასუხო რეაქცია გამოიწვია.

ამერიკულ და რუსულ საზღვაო ძალებს შორის სახიფათო ინციდენტები შავ ზღვაში ბოლო დროს რამდენჯერმე მოხდა. ვითარებიდან გამომდინარე, NATO არ აპირებს, შავი ზღვის სრული კონტროლი რუსეთს დაუთმოს და ცდილობს, გააძლიეროს თავისი შავიზღვისპირა ქვეყნებისა და ასევე მოკავშირეების საზღვაო შესაძლებლობები. შავიზღვისპირა ექვსი ქვეყნიდან სამი (რუმინეთი თურქეთი, და ბულგარეთი) NATO-ს წევრია, ორი მოკავშირე (უკრაინა და საქართველო) და მხოლოდ ერთი, რუსეთია დაპირისპირებული, მიუხედავად ამისა, საქართველოს აფხაზეთისა და უკრაინის ყირიმის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ შავი ზღვის აკვატორიაში დღესდღეობით რუსეთის შავი ზღვის ფლოტს უკეთესი სტრატეგიული პოზიციები უკავია და შავი ზღვის აკვატორიის უდიდეს ნაწილს აკონტროლებს.

რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების ბაზირების ადგილები ნოვოროსიისკის, ანექსირებული სევასტოპოლის, ფეოდოსიისა და დონუზლავის პორტებში აქვს.

რუსეთს ყველაზე მეტი სამხედრო დანიშნულების მცურავი საშუალება ჰყავს შავ ზღვაში. უმეტესობა მოძველებულია, მაგრამ რუსეთმა სწრაფად დაიწყო ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შავი ზღვის ფლოტის გადაიარაღება. შეიარაღებაშია ხუთი დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი, ხუთი სადარაჯო ხომალდი, რვა დიდი სადესანტო ხომალდი, ერთი სარაკეტო კრეისერი, ექვსი მცირე სარაკეტო ხომალდი, ექვსი სარაკეტო კატორღა და ორმოცზე მეტი სხვადასხვა ტიპის დამხმარე მცურავი საშუალება. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში შედის საზღვაო ავიაციის ორი პოლკი, მათგან ერთი - საფრონტო ბომბდამშენები.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შავი ზღვა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკურ არტერიად რჩება, უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთისა და დასავლეთის მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი გახდა. რატომღაც, ნატომ გვიან მიაქცია ყურადღება შავ ზღვაზე რუსეთის სასარგებლოდ შექმნილ ახალ რეალობას. დღის წესრიგში ეს საკითხი მხოლოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაისვა, თუმცა რუსეთის მიზნები აღნიშნულ რეგიონში სავსებით ნათელი იყო მაშინაც, როდესაც მან აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო საქართველოს 200 კილომეტრიანი მონაკვეთი შავიზღვისპირეთზე. რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია სულ მალე გადაიქცა მძლავრ სამხედრო ბაზად, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.

ნატოს საპასუხო ზომების მიღებისაკენ უბიძგა ყირიმის ანექსიამ. მისმა შემდგომმა მილიტარიზაციამ, რაც შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებაში, ნახევარკუნძულზე საჰაერო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად ახალი დაჯგუფების შექმნაში გამოიხატა. აშკარა უპირატესობის საპირწონედ ჯერჯერობით ვხედავთ ამერიკის სამხედრო ხომალდების ხშირ ვიზიტებს შავი ზღვის პორტებში.

შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე, ნატოს ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებას ელოდა ყველა დაინტერესებული მხარე, რუსეთის ჩათვლით. მათი მოლოდინი გარკვეულწილად გამართლდა.

ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადების მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებას შავი ზღვის აუზში, იყენებს იქ განლაგებულ სამხედრო პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერებისა და დემონსტრირებისთვის, რაც ნატოს ქვეყნებისთვის გამოწვევას და დამატებითი რისკის ფაქტორს წარმოადგენს. იმავე განცხადების 23-ე პუნქტში კი ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში უსაფრთხოების კუთხით ვითარება შავ ზღვაზე გაუარესებულია.

ნატომ გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაუჭიროს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება სტაბილურობის დაუსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, აგრეთვე აღნიშნულ საკითხზე გააქტიუროს დიალოგი უკრაინასთან და საქართველოსთა.

ნატოს ვარშავის სამიტის დოკუმენტებში კონკრეტულ ნაბიჯებზე, საუბარი არ არის, მაგრამ ისინი შეიცავენ მკაფიო გზავნილებს კრემლისთვის, რომ შავ ზღვაზე არ იქნება დაშვებული რუსეთის მხრიდან სტრატეგიული უპირატესობა. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ნატო გააქტიურდება შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით ნიშნავს იმას, რომ ამ პროცესში თავისი ადგილი ექნებათ ალიანსის არაწევრ უკრაინასა და საქართველოს.

ზოგადი სურათი ასეთია, თუმცა ჯერ რთული სათქმელია, კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა მოხდება. არც ის არის ცნობილი, როგორ უნდა გადაილახოს შავ ზღვაში ნატოს ყოფნის გაზრდის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორი, როგორიც არის 83 წლის წინ, 1936 წ. 20 ივლისს, შვეიცარიის ქ. მონტროში ხელმოწერილი კონვენცია, რომელიც იმავე წლის 9 ნოემბრიდან ამოქმედდა. იგი არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს. დოკუმენტს ხელს აწერენ თურქეთი, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, საფრანგეთი, რუმინეთი,

ბულგარეთი, საბერძნეთი, ავსტრალია, იაპონია და იუგოსლავია. ამ კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გეგმებს (გარდა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გემებისა) აქვთ მინიჭებული შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში (მუხლი მე-2-7). ხოლო სამხედრო გემებისთვის კი გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. იგი ძირითადად ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს.

მათ შეუძლიათ შავ ზღვაში შემოიყვანონ არაუმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემები მშვიდობიან პერიოდში და იყოლიონ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში (მუხლი მე-18). ეს შეზღუდვა შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის არ მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქციაც შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე-19-21-ე). ისინი საკმაოდ საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს, ნაკლებად ან საერთოდ არ იცავენ დანარჩენი შავიზღვისპირა სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის მოკავშირეთა ინტერესებს.

შავ ზღვაში თურქეთი ორ ძირითად საზღვაო ბაზას იყენებს სამსუნისა და სინოპის პორტებში. ხმელთაშუა ზღვაშია თავმოყრილი, მისი ძირითადი ძალები თუმცა დაუბრკოლებლად და ოპერატიულად შეუძლია მათი გადმოსროლა შავ ზღვაში. შეიარაღებაშია რვა კორვეტი. ცამეტი ერთეული დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი და თექვსმეტი ფრეგატი.

შავ ზღავში, თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წვრთნაში, რომელსაც Deniz Yildizi ანუ ,, ზღვის ვარსკვლავი 2017'' ეწოდება, 38-ზე მეტი სამხედრო გემი, ოთხი წყალქვეშა ნავი, ათი სარაკეტო ფრეგატი, ექვსი სარაკეტო კატარღა და სამი კორვეტია ჩართული. სამხედრო საზღვაო წვრთნები, რომელსაც თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაური ადმირალი ვეისელ კოსელე ხელმძღვანელობდა, 27 მარტს აიღო სტარტი და 7 აპრილამდე გასტანა. „ზღვის ვარსკვლავის" ფარგლებში დაგეგმილი ოპერაციების ოფიციალურ მიზანს, შავი

ზღვის აკვატორიაში უსაფრთოების შენარჩუნება და სამხედრო-საზღვაო ძალების ბრძოლისუნარიანობის შემოწმება წარმოადგენდა.

თურქული მხარის ცნობით, საზღვაო მანევრების დროს, თურქმა სამხედროებმა პირველად განახორციელეს, ამერიკული Harpoon Block 2 ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების პრაქტიკული გაშვება, როგორც წყალში, ისე მიწაზე არსებული სამიზნეების განასადგურებლად.

შავ ზღვაზე, თურქეთის სამხედრო გემები ასევე შევიდნენ პოტენციური მოწინააღმდეგის - რუსეთის პორტში. ეს პირველი შემთხვევა იყო ხუთი წლის მანძილზე, როცა თურქეთისა და ნატოს-ს დროშით მცურავი ფრეგატი Barbaros-ი და კორვეტი Büyükada ნოვოროსიისკის პორტში გამოჩდნენ. და, რაც მთავარია, რუსები მათ არა საპროტესტო ტრანსპარანტებით, არამედ, სამხედრო ორკესტრის მარშით დახვდნენ. Barbaros-ზე იმყოფება თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაური, ადმირალი კოსელე, რომელიც შეხვდა რუსეთის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურს, ადმირალ ვიტკოს.

ექსპერტების აზრით, ნატოს-ს წევრი თურქეთი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში თავის ახალ ადგილს ეძებს, 2016 წლის ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ.[5]

ერთის მხრივ, ანკარა, მოუწოდებს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს გააძლიეროს პოზიციები შავ ზღვაზე, რომ „შავი ზღვა რუსულ ზღვად" არ გადაიქცეს და, მეორეს მხრივ, ანგარიშს უწევს შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ დისბალანსს, რომელიც 2014 წლიდან, რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციის შემდეგ წარმოიქმნა.

---

[5] თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში

https://www.gfsis.org/ge/blog/view/710

უკრაინა და თურქეთი სამხედრო სფეროში თანამშრომლობას აღრმავებენ და ეს ნაბიჯები, განსაკუთრებით აქტიურად, ქერჩის სრუტეში განვითარებული მოვლენების შემდეგ გახდა. რუსეთის საზღვაო დაცვის ძალებმა 25 ნოემბერს, ქერჩის სრუტეში იერიში მიიტანა უკრაინის გემებზე. მესაზღვრეებმა ბორტზე მყოფი უკრაინელი მეზღვაურები დააკავეს. ამ ინციდენტის შემდეგ კიევსა და ანკარას შორის ურთიერთობის გაღრმავება მნიშვნელოვანია, რადგან თურქეთი შავი ზღვის აკვატორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოთამაშეა. ანკარა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში მკაფიო პოზიციას ინარჩუნებს. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების და დასავლეთთან კი პირიქით, დაძაბულობის გაზრდის ფონზე, თურქეთი საერთაშორისო ფორუმებზე უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და ყირიმის ანექსიას არ აღიარებს.

შავ ზღვაში ძალთა ბალანსის დაცვას ფრთხილად ცდილობს ანკარა. პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა ქერჩის ინციდენტიდან 3 დღეში, 28 ნოემბერს, უკრაინელ და რუს კოლეგებს დაურეკა და ორივეს ცალ-ცალკე მოუწოდა კრიზისიდან დიპლომატიური გამოსავლის მოძიებისკენ. მათ საუბრის დროს მიუკერძოებელი მედიატორის როლის თამაშიც შესთავაზა.

მიმდინარეობს თუ არა შავ ზღვაში ომი? ქერჩის მოვლენებმა თურქეთისთვის და შავის ზღვის სხვა ქვეყნებისთვის, იურიდიული კითხვა წამოჭრა - ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან 1936 წლის მონტრეს კონვენციას უკავშირდება. კონვენციამ თურქეთს მიანიჭა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი. მცირე შეზღუდვებია დაწესებული მშვიდობიან პერიოდში სანავიგაციო მარშრუტებზე. კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, ომის შემთხვევაში, როცა თურქეთი ომის მონაწილე არ არის, კონფლიქტში ჩართული ქვეყნების გემებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში არ აქვთ გავლის უფლება.

კიევსა და ანკარას შორის თანამშრომლობა მკაფიოდ ჩანს საერთაშორისო დონეზეც. ანკარამ მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციას, რომელიც საქართველოს, უკრაინის, რუმინეთის, ბალტიისპირეთის და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყნის მიერ იყო ინიცირებული და აზოვის ზღვის და ყირიმის მილიტარიზაციას გმობდა. ამ ინიციატივაზე დაყრდნობით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო, რითაც მოუწოდა რუსეთს ყირიმიდან ჯარების გამოყვანისკენ და გამოხატა პოზიცია, რომ ქერჩის სრუტეში უკრაინის გემებს თავისუფალი ნავიგაციის უფლება უნდა მიეცეთ.

უკრაინა და თურქეთი თანამშრომლობას რეგიონულ კონტექსტშიც აგრძელებენ. 2018 წლის საზღვაო მანევრებში, რომელსაც უკრაინამ უმასპინძლა, თურქეთმაც მიიღო მონაწილეობა, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, თურქეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სავარაუდოდ, რუსეთის ბალანსის ერთ-ერთი მექანიზმია.

მოსკოვსა და კიევს შორის მედიატორის როლის თამაშის ნაცვლად, ანკარა უკრაინასთან ეკონომიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო ურთიერთობებს აღრმავებს.

A2AD (Anti-Access and Area Denial) - მოწინააღმდგების შეკავების კონცეფციის მიხედვით, რუსეთმა უკვე მოასწრო თურქეთის გარშემო რამდენიმე ასეთი მილიტარიზირებული - A2AD ზონის შექმნა. მათ შორის, სირიაში, ყირიმში, ოკუპირებულ აფხაზეთსა და სომხეთში, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა, როგორც NATO-ს მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგისა და ალიანსის მოკავშირეებისთვის, ისე აკარისთვის.

კახა გოგოლაშვილის განცხადებით - „დისბალანსი, რომელიც შავ ზღვაზე დღეს არსებობს სამხედრო პარიტეტის თვალსაზრისით ყოველთვის აწუხებდა

თურქეთს, ეს აწუხებს არა მხოლოდ შავი ზღვის, არამედ აკვატორიის მიმდებარე NATO-ს წევრ ქვეყნებსაც. სწორედ ამ წუხილის საპასუხოდ ჩვენ ვხედავთ NATO-ს აშკარა გააქტიურებას, რათა მოხდეს შავ ზღვაზე სამხედრო ბალანსის აღდგენა, რომელიც რუსეთის სასარგებლოდ დაირღვა, ყირიმის ანექსიის შემდგომ."[6]

შავი ზღვის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აქ მიმდინარე პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. მისი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აქ ხდება სამხრეთიდან მომავალი საფრთხეების რუსეთთან შერწყმა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონულ უსაფრთხოებას. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ნატოს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების გაძლიერებას და მოითხოვს უფრო სტრატეგიულ მიდგომას ევროპული უსაფრთხოებისთვის რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა უსწრაფესად შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატოს პარტნიორი ქვეყნების მაქსიმალურად ჩართულობის შესახებ.

დიდი ხნის მანძილზე, ნატო რუსეთს დაპირისპირებულ მხარედ კი არა პარტნიორად განიხილავდა. ამაზე მიუთითებს ალიანსის და მოსკოვის თანამშრომლობის მასშტაბები წლების განმავლობაში. 1991 წელს, რუსეთი შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (1997 წელს შეიქმნა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო); 1994 წელს - პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისათვის"; 1997 წელს კი შეიქმნა ნატო-რუსეთის საბჭო - ყველა ეს ორგანიზაცია და პროგრამები მიმართული იყო ალიანსსა და მოსკოვს შორის ურთიერთობისთვის.

---

[6] შავი ზღვა - თურქეთის წვრთნები, რუსეთი და საქართველო
https://commersant.ge/ge/post/shavi-zgva-turqetis-wvrtnebi-ruseti-da-saqartvelo

2004 წლიდან რუსეთი და ნატო მართავდნენ ერთობლივ წვრთნებს, რუსეთის გემები მონაწილეობდნენ სომალიში ალიანსის ანტიმეკობრულ ოპერაციებში. 2014 წლამდე ბრიუსელში, შეიარაღებული ძალების ცენტრალურ შტაბთან ყოველთვის მუშაობდნენ რუსი სამხედროები, მათი რაოდენობა კი ყოველთვის აღემატებოდა ალიანსის სხვა არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლობებს. 2014 წელს, აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის დაწყების და ყირიმის მიერთებისა შემდეგ, ნატოს და რუსეთის ფედერაციის თანამშრომლობა შეწყდა - ალიანსმა რუსეთის ქმედებები დაგმო და აგრესიად შეაფასა.

ამ მოვლენების შემდეგ ბრიუსელში არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსეთს ბლოკის ქვეყნებისთვის საფრთხედ მიიჩნევენ, ასევე რამდენჯერმე განაცხადეს ისიც, რომ რუსეთის აგრესიაზე საპასუხოდ ნატო რეაგირების ძალთა რიცხოვნებას ზრდიდა. ნატოში ძველებურად აღნიშნავენ, რომ არ აპირებენ რუსეთის საზღვართან ახლოს მსხვილი სამხედრო დანაყოფების განთავსებას.[7]

[7] და რუსეთი ნატოს მტრად მიიჩნევს?

https://imedinews.ge/ge/theme/36/ruseti-moereva-tu-nato

2.2 თურქეთის რუსეთთან დაახლოების ძირითადი მიზეზები და აშშ-ს პოლიტიკა

თურქეთმა ბოლო 15 წლის მანძილზე რუსეთთან ურთიერთობები დაათბო. 2004 წლის ბოლოს, სამი ათეული წლის განმავლობაში ვლადიმერ პუტინი იყო პირველი პრეზიდენტი, რომელიც ეწვია ანკარას. ვიზიტის განმავლობაში მხარეებმა ხელი მოაწერეს 6 სფეროში თანამშრომლობის დაწყებას, მათ შორის ენერგეტიკის, ვაჭრობის, ფინანსების და უსაფრთხოების. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას მეგობრობის გაღრმავებასა და მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ (Joint Declaration on the Deepening of Friendship and Multidimensional Partnership).[8]

2004 წლის შემდეგ, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა გაგრძელდა რეგულარულად, მაღალი დონის მთავრობათაშორისი შეხვედრებით და ამიტომ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება ძირითადად პირადი კონტაქტების და ენერგორესურსების საჭიროების შედეგია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორმხრივი კავშირები, ინვესტიციების, ვაჭრობის, ტურიზმის და ენერგეტიკის სფეროში საგრძნობლად გაიზარდა. თურქეთისთვის რუსეთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა და 10 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა ორმხრივი ინვესტიციების მოცულობის ღირებულებამ. თურქული სამშენებლო ფირმების ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელია რუსეთი. (Demiryol 2013, 5)

ენერგეტიკული განზომილება რომელიც თურქეთ-რუსეთის თანამშრომლობაზე დიდ გავლენას ახდენს, 1987 წლის დასაწყისში დაიწყო,

---

[8] Joint declaration between the Republic of turkey the Ryssia Federation on Progress towards a ne stage in Relations and Further Deeping of Friendship and Multidiminational Partnership, Mascow, 13 Fabruary 2009

http://www.mfa.gov.tr/joint-declaration-between-the-republic-of-turkey-and-the-russian-federation-on-progress-towards-a-new-stage-in-relations-and-further-deepening-of-friendship-and-multidimentional-partnership_-moscow_-13-february-2009.en.mfa

როდესაც რუსეთის ბუნებრივი გაზის პირველი გადაზიდვა ტრანსკულტურული მილსადენის შეფუთვაში შევიდა. დღეს ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკული თანამშრომლობა გაფართოვდა და 2003 წლის თებერვალში შავ ზღვაზე ,,ლურჯი ნაკადის'' (ურენგოი-უჟგოროდის-ის მილსადენის ერთ-ერთი განშტოებაა ე.წ. ,,ლურჯი ნაკადი'', რომელიც ნოვორსკიდან შავი ზღვის გავლით თურქეთში შედის) გაზსადენის გახსნასთან ერთად, თურქეთის დამოკიდებულება გაიზარდა რუსული გაზის ექსპორტზე. მაგალითად, 2017 წელს თურქეთის ბუნებრივი აირის იმპორტი 53.5 მილიარდი კუბური მეტრია, ხოლო იმპორტიდან დაახლოებით 52% რუსეთიდან მოდის. ასევე თურქეთის ნავთობის იმპორტიორების 22% რუსეთიდან მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთი მეორეა გერმანიის შემდეგ, რუსეთისგან ბუნებრივი გაზის ექსპორტის შეძენით.

გაზის იმპორტის ხელმისაწვდომობა თურქეთისთვის სხვა ალტერნატიული გზებითაც შესაძლებელია, თუმცა აქ მოქმედებს სხვადასხვა პოლიტიკური ფაქტორები, განსაკუთრებით თურქეთის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

თურქეთი კვლავ ჩამოშორებული რჩება ხმელთაშუაზღვის ენერგეტიკულ პროექტებს, სანამ კვიპროსის პრობლემა გადაუჭრელი რჩება და თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელსა და ეგვიპტეში კვლავ დაძაბულია. აქედან გამომდინარე, თურქეთი აგრძელებს რუსეთის მარაგების იმედად ყოფნას.

დღეს, ლურჯი ნაკადის მილსადენი ფუნქციონალური აქტიურობა 60-70% შედგენს. 2016 წელს თურქეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას თურქეთის მილსადენის პროექტის მშენებლობისთვის, რომელიც რუსეთის გაზს დააკავშირებს თურქეთთან შავ ზღვის მეშვეობით. მეორე ხაზი TurkStream რუსულ გაზს ბულგარეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გადასცემს. TurkStream- ის პროექტთან ერთად, თურქეთი კიდევ უფრო მეტ დამოკიდებულდება რუსეთის გაზის ექსპორტზე.

რუსეთ-თურქეთი ასევე ძლიერი პარტნიორები არიან ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროში.

თურქეთის სავაჭრო პარტნიორებს შორის რუსეთი მეშვიდე ადგილზეა, ხოლო რუსეთი მესამე ადგილზეა. ხმელთაშუაზღვა ყოველწლიურად მილიონობით რუსი ტურისტს მასპინძლობს. 2017 წელს თურქეთს 5 მილიონი რუსი ტურისტი ეწვია.

ინტენსიური ურთიერთობები სავაჭრო, ტურიზმი და ეკონომიკურ სფეროში არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთმა და რუსეთმა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები გადაჭრეს. სირიის კონფლიქტში რუსეთის მტკიცე სამხედრო ინტერვენცია 2015 წლის დასაწყისიდან, ანკარაში სირიის ლიდერის, ბაშარ ალ-ასადის განდევნის წინაპირობა იყო. რუსეთი კვლავ ითანამშრომლებს სირიის მთავრობასთან ISIS- ის და სხვა ჯიჰადისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ასევე რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობაში მწვავე დაძაბულობა გამოიწვია 2015 წლის ინციდენტმა, როცა თურქეთის საბრძოლო თვითმფრინავმა თურქეთ-სირიის საზღვარზე ჩამოაგდო რუსეთის ავიაგამანადგურებელი, ამ შემთხვევის გამო რუსეთმა თურქეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, გაწყვიტა სამხედრო კონტაქტები და შეაჩერა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რუსეთის პრეზიდენტის თქმით სანქციები არ გადაიხედებოდა სანამ, თურქეთი არ მოიხდიდა ბოდიშს. მიუხედავად ამისა, ამის შემდგომ როგორც თურქი მაღალჩინოსნების აცხადებენ, ერდოღანმა წერილით პილოტის გარდაცვალების გამო მხოლოდ მწუხარება და სინანული გამოხატა.

2019 წლის 3 მაისს პუტინმა სოჭში უმასპინძლა თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეპ ტაიპ ერდოღანს. შემდგომ როგორც აღნიშნეს, რუსეთმა და თურქეთმა დაძლიეს ორმხრივი ურთიერთობის მძიმე პერიოდი.

გარკვეული დროის წინ ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს, როგორც ცნობილია, სიმტკიცის გამოცდის ჩაბარება მოუხდა. ახლა დაბეჯითებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რუსეთ-თურქეთის კავშირებში აღდგენითი პერიოდი დასრულდა და ჩვენ ვუბრუნდებით ნორმალურ პარტნიორულ ურთიერთქმედებას", - განაცხადა პუტინმა.

ასევე 3 მაისის შეხვედრის დღის წესრიგში იდგა სირიის კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმართული ძალისხმევაც. ერდოღანმა ანკარაში, ჯერ კიდევ სოჭში გამგზავრებამდე განაცხადა, რომ რუსეთისა და თურქეთის საერთო ინტერესებშია სირიის კრიზისიდან პოლიტიკური გამოსავლის მოძებნა.

,,ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა მხრებზე ძალიან მძიმე ტვირთი გვაწევს, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. მჯერა, რომ ნაბიჯები, რომელთაც აქ ერთად გადავდგამთ რუსეთი და თურქეთი, შეცვლის მთელი რეგიონის ბედს''. (რეჯეპ ტაიპ ერდოღანი)

შეხვედრის შემდეგ ასევე გავრცელდა ცნობა, რომ თურქეთმა, რომელიც, როგორც ცნობილია, ნატოს წევრი ქვეყანაა, შესაძლოა რუსეთისაგან შეიძინოს S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემა, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს დაეხმაროს თურქეთს ებრძოლოს საფრთხეს, რომელსაც ტერორიზმი უქმნის ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

ვაშინგტონი დადებითად არ აფასებს თურქეთის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ „ეს-400" რაკეტები, რომელიც ივლისში უნდა მიაწოდონ, თურქეთში განლაგებული „ნატოს" სამხედრო სისტემებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. კერძოდ, უახლეს ამერიკულ გამანადგურებელ „ეფ-35"-სთვის. რუსეთი „ეს-400" სისტემას, „ეფ-35" თვითმფრინავის „სტელსის" ტექნოლოგიის საწინააღმდეგოდ ხვეწს.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თურქეთს დიდი ძალისხმევა სჭირდება სწორი პოლიტიკის გასატარებლად, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან იღებს სათავეს, როცა ამერიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად და რეგიონში თავისი გავლენის გასაძლიერებლად თურქეთს სტრატეგიულ დასაყრდენად იხდის ახლო აღმოსავლეთში. 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, ცივი ომის მოქმედების პერიოდში თურქეთ-ამერიკის ურთიერთობები თანამშრომლობით და მოკავშირეობით ხასიათდებოდა ძირითადად სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. ამავე პერიოდში, თურქეთი თავის საგარეო პოლიტიკაში უპირველეს მნიშვნელობას აშშ-ს ანიჭებდა და მსოფლიო საერთაშორისო არენაზე მასთან კოორდინაციის საფუძველზე მოქმედებდა. თუმცა, 90-იანი წლებიდან, როგორც კი თურქეთს გაუჩნდა საკუთარი ეროვნული საგარეო-პოლიტიკური ინტერესები, კერძოდ კი, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში (ახლო აღმოსავლეთი მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, ასევე სტრატეგიულად ახლო აღმოსავლეთს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფო მიისწრაფვის, რომ გავლენა ჰქონდეს ახლო აღმოსავლეთზე, მათ რიცხვში არის თურქეთიც). შექმნილმა პირობებმა და რეგიონში განვითარებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ, თურქეთს უბიძგა მოხერხებულად შეეცვალა თავისი ადრინდელი საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც ათათურქის იდეებსა და აშშ-ნატოს საგარეო ინტერესებზე იყო აგებული.

ცივი ომის დასრულებამ ახალი შესაძლებლობებისაკენ გაუხსნა გზა თურქეთს და დამოუკიდებელი საგარო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. ახლო აღმოსავლეთში თურქეთმა იტვირთა რეგიონული ძალის როლი. ცივი ომის შემდეგ თურქეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონშიც დიდი ინტერსები გაუჩნდა. ასევე ძალიან დიდი იყო მისი დაინტერესება ცენტრალური აზიით, სადაც მნიშვნელოვანი

ეკონომიკური და კულტურული კავშირები განავითარა, რამაც ხელი შეუწყო მისი პოზიციის გამყარებას რეგიონში.

ისტორიკოსი ზაურ მჭედლიშვილის განცხადებით სტრატეგიულად თურქეთისთვის ახლო აღმოსავლეთს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ისრაელის გარდა ახლო ახმოსავლეთში ყველა მუსულმანური ქვეყანაა და სწორედ ამიტომ , როდესაც თურქეთში მოვიდა ისლამური მთავრობა 2002 წელს და დღემდე სახელმწიფოს სათავეშია, გადაწყვიტა გავლენა და პოპულარობა მოეპოვებინა ისლამურ სახელმწიფოებში. სწორედ ამის გამო, განაცხადა ერდოღანმა, რომ ჩვენ ვართ ისლამური ქვეყანა და ვართ თქვენი ძმები, განვსხვავდებით იმისა, რომ ჩვენ ვართ მოდერნიზებული ისლამური სახელმწიფო. ჩვენთან განვითარებულია დემოკრატია და ეკონომიკა და გთავაზობთ თურქეთის ნიმუშს ყველა ისლამურ ქვეყანას. ცივი ომის დამთავრებიდან, თურქეთს გაუჩნდა საკუთარი ეროვნული საგარეო-პოლიტიკური ინტერესები. ამის დასტურია შემდეგი განცხადება: აშშ ჩვენი პარტნიორია, ის დაგვეხმარა ნატოში შესასვლელად, გვეხმარება ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგრამ დღეს თურქეთს თავისი ინტერესები აქვს ახლო აღმოსავლეთში. შესაბამისად, თურქეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარი საგარეო-პოლიტიკური კურსის ამგვარმა გააქტიურებამ ცენტრალურ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში, ხელი შეუწყო აშშ-სთან ურთიერთობების გაცივებას.

თურქი ექსპერტი ელიგური თვლის, რომ თურქეთ- ამერიკის დისტანცირებაზე ცივი ომის შემდგომ სხვა და სხვა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა.თურქეთისა და ამერიკის ურთიერთობების გართულების ერთ-ერთი მიზეზი იყო ერაყი. თურქეთისთვის საშიში იყო ქურთების სეპარატიზმი და მიიჩნევდა რომ, მას მოუწევდა ომი PKK-ს მეამბოხეებთან, ის წინააღმდეგი წავიდა აშშ-ს ინეტერვნეციაზე ერაყში, რადგან შეჭრა შექმნიდა დესტაბილიზაციას მის სამხრეთ მხარეებში. შედეგად, 2003 წელს თურქეთმა უფლება არ მისცა ამერიკულ ნაწილებს ერაყში შესაჭრელად საკუთარი ტერიტორიის გამოყენებისა. (Eligür 2006, 3)

ყველაზე ირონიული იყო გადაწყვეტილება, რომელსაც შედეგად მოყვა, ის რომ საბოლოოდ ერაყელი ქურთები გახდნენ ამერიკელი მოკავშირეები და ნავთობით მდიდარი Kirkuk-ის და მოსულის რეგიონების ოკუპაცია მოახდინეს. აღნიშნულ ქმედებებში შეუძლებელი იყო თურქეთს მონაწილეობა მიიღო. ამ ფაქტის შემდგომ მოვლენები დაიძაბა და ურთიერთობები გაუარესდა ორ სახელმწიფოს შორის. შეერთებულმა შტატებმა დააკავა 11 თურქული სამხედრო მოსამსახურე ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე. თურქულმა სამხედრო წრეებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. შედეგად, თურქული საზოგადოებაში კიდევ უფრო იმატა ანტიამერიკულმა განწყობამ. (Gillis 2004, 4)

გილისის მოსაზრებას იზიარებს ვასილის ფოკასა თავის ნაშრომში სადაც აღნიშნავს, რომ თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებს პირველი ნაპრალი 2003 წელს გაუჩნდა, როდესაც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ამერიკელებს ერაყზე შესატევად სამხედრო ბაზების გამოყენების უფლება არ მისცა თავის ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც თურქეთმა უარი განუცხადა აშშ-ს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომის წარმოებაში თურქეთ-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა ეჭვის ქვეშ დადგა. თურქეთს და ამერიკას გაუჩნდათ ისეთი საჭიროებები და ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც განსხვავდებოდა ცივი ომის დროინდელი მათი საგარეო პოლიტიკისგან. ამერიკის შეერთებული შტატების რბილი ძალის პოლიტიკამ გადაინაცვლა ხისტი ძალის 13 გამოყენებისაკენ. აღნიშნული პოლიტიკა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში და მათ შორის თურქეთთან.

2008 წლის დეკემბერში ისრაელის მიერ ღაზას სექტორში განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას „ჩამოსხმული ტყვია“ (Operation „Cast Lead“) მხარეებს შორის ურთიერთობების გაფუჭების საწყისად მიიჩნევენ. თურქეთმა აღნიშნული ოპერაცია მკაცრად გააკრიტიკა, ერდოღანმა იგი „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სერიოზულ დანაშაულად“ აღიარა და ისრაელის პრემიერმინისტრ

ოლმერტთან თანამშომლობა გაწყვიტა. მომდევნო ინცინდენტს ადგილი ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, დავოსში (შვეიცარია). 2009 წელს, შვეიცარიაში დავოსის მსოფლიო ეკონომიურ ფორუმზე პრემიერმინისტრმა ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი მას მატყუარა და მკვლელი უწოდა ღაზის სექტორში სამხედრო ოპერაციის ზედმეტად მკაცრად ჩატარების გამო. (Bennhold 2009)

თურქეთ - ისრაელს შორის ურთიერთობების დაძაბვამ გავლენა იქონია თურქეთ - ამერიკის ურთიერთობებზე. 2010 წლის ისრაელში ჩატარებულმა რეფერენდუმმა ცხადყო, რომ მოსახლეობის 78% თურქეთს აღიქვამს „მტრად“. (Byford 2011, 3)

2010 წლის მაისის ბოლოს მოხდა ,,მავი მარმარა“-ს ინციდენტი. თურქულ ფლოტს ღაზის სექტორის სიახლოვეს თავს დაესხნენ ისრაელის სადესანტო რაზმები, რომლებმაც მოკლეს თურქეთის 8 მოქალაქე. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, თურქეთ-ისრაელს შორის კიდევ უფრო მეტად დაიძაბა ურთიერთობები. შედეგად, თურქეთმა შეწყვიტა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობები. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. [9]

ურთიერთობების ისრაელთან დაძაბვა აისახა ამერიკა-თურქეთის ურთიერთობებზეც. 2010 წელს, პრეზიდენტ ობამამ განაცხადა, რომ თურქეთის სანდო სტრატეგიულ პარტნიორობაში ეჭვის შეტანა უარყოფით გავლენას მოახდენს აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე, განსაკუთრებით სამხედრო სახის დახმარებაზე, რაც გულისხმობს უთანხმოებას უპილოტო თვითმფრინავების გაყიდვაზე.

2011 წელს აშშ-ს უარის გამო დაგეგმილი 100 F-135 ტიპის თვითმფრინავების შეძენა შეჩერდა, რომლებიც PKK 11 სეპარატისტების წინააღმდეგ გამომყენება.

[9] Eligür, Banu. 2006. Turkish - American Relations Since the 2003 Ir aqi War: A Troubled Partnership . http://www.brandeis.edu

აღნიშნული ფაქტის შემდეგ თურქეთმა უარი განუცხადა ამერიკას თავის ტერიტორიაზე განელაგებინა ბალისტიკური თავდაცვის რაკეტები, რათა იგი მოერიდა რუსსეთთან ურთიერთობების დაძაბვა.

მანჩხაშვილის თავის წიგნში-„თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ მიმოიხილავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ორი სახელმწიფოს ურთიერთობებზე, ბოლო წლებში სად გადის თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში გამყოფი ხაზი. ავტორი გამოყოფს ყველაზე მგრძნობიარე საკითხებს, როგორიცაა: ერაყის ომი, ჩრდილოეთ ერაყისა და PKK-ს პრობლემა და ამერიკის კონგრესში კანონპროექტი სომეხთა გენოციდის შესახებ.

აშშ-თურქეთის ურთიერთობებში 1980-1999 წლებში ყველაზე ახლოს საკუთარ მიზნებთან შეერთებული შტატები იდგა, თუმცა ზოგ საკითხთან დაკავშირებით თურქეთს აშშ-სგან მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ასევე, იმედოვნებდა გარკვეული უპირატესობის მოპოვებასაც. მიხედავად ამისა, იგი ვერ იღებდა შტატებისგან მხარდაჭერას და შესაბამისად ვერ ახერხებდა მიზნის მიღწევას.

პატრიკ გილისის ნაშრომის მიხედვით (U.S.-Turkish Relations: The Road to Improving a Troubled Strategic Partnership) თურქეთი კვლავაც არის ამერიკისთვის „გასაღები ქვეყანა“, მისი სიდიდის, გეოპლიტიკური მდებარეობის, ისტორიული კავშირების და მმართველობის ფორმის გამო, თურქეთის წევრობა ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწარაფვა აშკარად ორივე სახელმწიფოს საერთო ინტერესებს წარმოადგენენ. ენერგეტიკული რესურსები არის ის კიდევ ერთი ადგილი, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვეღარასოდეს ექნებათ ისეთი მჭიდრო ურთიერთობები, როგორიც მათ 1990-იან წლებში და მანამდე ჰქონდათ.[10]

ისრაელის ფაქტორზე თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებში, მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებენ ჰაროლდ ბრაკმანი თურქეთი იყო პირველი

[10] Gillis, Patrick. 2004. U.S. - Turkish Relations: The Road to Improving a Troubled Strategic Partnership. http://www.dtic.mil

მუსულმანური სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ისრაელი და 1990-იან წლებამდე მათ შორის სტაბილური ურთიერთობა იყო. თუმცა, თურქეთის ლიდერი, ერდოღანი, თავს უფრო კომფორტულად მუსულმანი მეზობლების გარემოცვაში გრძნობს, ვიდრე ისრაელის ლიდერებისა. თურქეთი განიხილება უფრო ახლოს დამასკოსა და თეირანთან ვიდრე იერუსალიმთან. აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა შეჯახებამ, გამოიწვია თურქულ-ამერიკული ურთიერთობების გაუარესება. ახალი 14 ისლამური მთავრობა თურქეთში ვერ შეეგუება ამერიკა დაეხმაროს ისრაელს, რომელიც მიჩნეულია მუსულმანური სამყაროს მტრად.

ძნელი სათქმელი არ არის, რომ თურქეთი დღესდღეობით რეგიონალური ძალაა. გარდა ამისა, მაღალი თანამდებობის პირები, ისევე, როგორც აბდულა გიული, თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი (2007-2014), ამბობს, რომ თურქეთს სურს და აქვს უნარი, რათა გახდეს გლობალური ძალა. სწრაფი ანალიზი თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიისა ბოლო წლებში გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ურქეთის მისწრაფება გახდეს ძლიერი აქტორი საერთაშორისო არენაზე საკმაოდ რეალურია. მაგალითად, F-135 თვითმფრინავების ახალი ვერსია იწარმოება თურქეთში. თურქეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ვეჯდი გონული (2002-2011), ამბობს, რომ ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ თურქეთი აპირებს მის საზღვარებს მიღმა გახდეს გლობალური მოთამაშე. (Lindenstrauss and Berelovich 2012)

ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, გასულ საუკუნეში, ამ ორ ქვეყანას შორის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებიც მრავლად გვხვდება.

1962 წლის კუბაში რაკეტების კრიზისი

1962 წლის ოქტომბერში წარმოქმნილი „კუბის რაკეტების კრიზისი „ცივი ომის“ დროინდელი ორი სუპერ ძალა ატომური ომის დაწყების საფრთხის წინაშე დააყენა. კუბის თავზე სადაზვერვო ფრენების განხორციელებისას U2 თვითმფრინავებმა დააფიქსირეს ატომური ქობინები, ძველი აშშ-ს პრემიერ მინისტრმა, ჯოჰან ფ. კენედიმ, თუ საბჭოთა კავშირი კუბაზე ატომურ იარაღს განათავსებენ დიდი კრიზისი დაიწყებაო განაცხადა.

მხარეებმა გარკვეული პერიოდი ორმხრივად თავს არიდებდნენ ერთმანეთს, მაგრამ აშშ-ს მიერ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შედეგად თურქეთიც კრიზისი მხარედ აქცია საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ კუბიდან ატომურ ქობინებს გაიტანდა ოღონდ ჯერ აშშ-ს თურქეთიდან და იტალიიდან თავისი ატომური შეიარაღება უნდა გაეტანა. ფარუქ ლოღოღლუს აზრით, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, თურქეთიდან შეიარაღების გატანის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ანკარასთან განუხილველობა კრიზისის სახეს ატარებდა.

1964 - ჯონსონის წერილი

აშშ-ს 36-ე პრეზიდენტმა, ლინდონ ბ. ჯონსონმა, 1964 წლის 5 ივნისს იმ დორინდელ პრემიერმინისტრს, იმეთ ინონუსათვის, გამოგზავნილ წერილში, თურქეთის მიერ კვიპროსზე სამხედრო ღონისძიების დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის მიღების გამო გამოხატავდა მის აღელვებას.

იმისთვის, რომ აშშ-სთან სრული კავშირი გაგრძელებულიყო, თურქეთისგან იგი მკაცრად მოითხოვა აღნიშნული ღონისძიების გაუქმებას, წინაამდეგ შემთხვევაში კი იძულებული გახდებოდა სასწრაფოდ შეეკრიბა ნატოს საბჭო და გაეროს საბჭოს სხდომები. ისმეთ ინონუს წერილზე პასუხი კი შემდეგნაირი იყო, ახალი მსოფლიო შეიქმნება და თურქეთი ამ მსოფლიოში თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ფარუქ ლოღოღლუს აზრით, აშშ-ს მიერ სამხედრო ოპერაციის შესაჩერებლად გამოგზავნილი წერილებიდან ყველაზე კრიტიკული „თუკი მოგიწევთ საბჭოთა კავშირთან დაპირისპირება, თქვენ გვერდით ჩვენ აღარ ვიქნებით იყო“.

ლოღოღლუს აზრით, კი თურქეთმა ამ კრიზისის შემდგომ „შესამჩნევად ნატოზე უფრო ნაკელებ დამოკიდებული„ პოლიტიკის გატარება დაიწყო.

1974 წელს ჰაშიშის დათესვა კვლავ განახლდა

ფარუქ ლოღოღლს აზრით, შემდგომი კრიზისი 1974 წელს იმ როინდელ პრემიერმინისტრის ბულენთ ეჯევითის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო რომლის მიხედვითაც თურქეთში ჰაშიშის დათესვა განახლდა მაშინ, როდესაც ამერიკაში ნარკო მომხმარებელთა რიცხვი იზრდებოდა თურქეთი ნარკოტიკული საშუელაებების კონტრაბანდით დაკავებულ ქვეყანათა სიაში იყო. 1971 წელს თურქეთში სრულიად იქნა აკრძალული ჰაშიშს დათესვა, თუმცა მიუხედავად ამისა სამი წლის შემდგომ ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და ჰაშიშის დათესვა კვლავ განახლდა, რაც ვაშინგტონთან ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი გახდა.

1974 - ინჯირლიკის სამხედრო ბაზის გამოყენების შეჩერება.

ქალაქ ადანის საზღვრებში არსებული ინჯირლიქის სამხედრო ბაზა, ცივი ომის დროს აშშ-ს მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთავარი საოპერაციო ცენტრებიდან ერთ-ერთი იყო, აშშ-სა და თურქეთის თანამშრომლობის ურთიერთობებში კი მნიშვნელოვანი სავაჭრო საკითხი იყო. აშშ-მ 1974 წლის კვიპროსის მოვლენების შემდგომ თურქეთისათვის იარაღზე ემბარგოს დადება გადაწყვიტა. თურქეთმა კი ქვეყნის შიგნით, აშშ-ს მიერ გამოყენებული ინჯირლიქისა და სხვა სამხედრო ბაზების გამოყენების საკითხი შეაჩერა და ამ ბაზების კონტროლი თურქეთის შეიარაღებულ ძალებს გადასცა. ბულენთ ეჯევითმა 2002 წელს ჰურიეთის გაზეთისათვის მიცეულ ინტერვიუში განაცხადა რომ, აშშ ჰაშიშის წარმოების დაშვებამ გააღიზიანა და კონგრესის მიერ დადებული ემბარგო რეალურად ჰაშიშის გამო იყო და არა კვიპროსის გამოვო. აშშ-ს კონგრესის მიერ 1978 წლის სექტემბერში ემბარგოს გაუქმების შემდგომ ინჯირლიქის სამხედრო ბაზამ ჩვეულ რითმით განაგრძო მოქმედება. სამხედრო ბაზა ისის-ის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-სა და კოალიციური ძალებისათვის სასიცოცხლო მნიშვენობას ატარებს. ,,ინჯირლიქის ბაზა დაიხუროსი„ გამონათქვამები ხშირ ხშირად დიპლომატიურ დაძაბულობებს ქმნის. ბოლოს აშშ-ს კონგრესის მიერ თურქეთისათვის F-35-ების მიყიდვის დროებით შეჩერების კანონის გატანის

შემდგომ პრეზიდენტი ტრამპის მიერაც ხელმოწერის შემთხვევში თვითმფრინავების გადმოცემა შეჩერდება. ლოღოღლუს აზრით, ბრუნსონის საკითხთან დაკავშირებული დაძაბულობა და კონგრესის მიერ F-35 - ის შესახებ გადაწყვეტილების კვალდაკვალ თურქეთს შეუძლია შეაჩეროს ინჯირლიქის ბაზის გამოყენება, თუმცა ეს მდგომარეობა სწორი არ იქნება, შეგიძლია დახურო ბაზა, თუმცა პარტნიორები სხვაგან გახსნიან იგივე ბაზას.

2003 – 1 მარტის ნებართვა

აშშ-ს მიერ ერაყის დაპყრობისას 1 მარტის ნებართვის გადაწყვეტილების კრიზისმა, ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყველაზე დიდი კვალი დატოვა. იმ დროისათვის თურქი ჯარისკაცების უცხო ქვეყანაში გაგზავნისა და უცხო ქვეყნის ჯარების თურქეთის ტერიტორიაზე ქოფნის ნებართვა თურქულმა პარლამენტმა არ გასცა. ლოღოღლუს აზრით, აშშ იმ დროს მოელოდა, რომ აღნიშნულ ნებართვას პარლამენტიც დაადასტურებდა. ნებართვის ფარგლებში ისკენდერუმში ჯარის, ტექნიკისა და გემების დისლოცირებისათვის საჭირო სამუშაოების ასატარებლად 200 მილიონი იქნა გამოყოფილი.

2003 - ტომრების შემთხვევა

2003 წლის 4 ივლისს ერაყის სულეიმანიეს პროვინციაში, ამერიკელმა სამხედროებმა, თურქეთის სპეცსამსახურების დაქვემდებარებაში მყოფ ბაზაზე, სადაც ოფიცრებიც იმყოფებოდნენ, თავს დაესხნენ და იქ მყოფ თურქ სამხედროებს თავზე ტომრები ჩამოაცვეს, ტყვედ აიყვანეს და დასაკითხად ბაღდათში გადაიყვანეს.

2017 - სავიზო კრიზისი

2017 წლის 8 ოქტომბერს, აშშ-ს თურქეთუს საკონსულოში მომუშავე მეთინ თოფუზის დაკავების შემდგომ, თურქეთიდან გაკეთებული ყველა სავიზო განაცხადი უვადოდ შეაჩერა. თურქეთმა ამაზე ანალოგიურად უპასუხა და ყველა

სავიზო განაცხადი განუსაზღვრელი დროით შეაჩერა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი განაცხადა, რომ მეთინ თოფუზი, აშშ-ს საკონსულოს დიპლომატიურ სიაში არ არისო. სავიზო კრიზისი ორ ქვეყანას შორის ყველაზე უფრო მასშტაბიან დიპლომატიურ სანქციებად იქნა მიჩნეული. 2017 წლის 28 დეკემბერს, თურქეთმა ორმხრივი შეთანხმების საფძველზე სავიზო შეზღუდვები გაუქმა.[11]

დღეს კი აშშ-თურქეთის ურთიერთობის განვითარება S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის შეძენაზეა დამოკიდებული.
ვაშინგტონის ამტკიცებს, რომ თუ თურქეთი S-400 ტიპის რაკეტებს მიიღებს ეს წინააღმდეგობაში მოვა F-35 საბრძოლო თვითმფრინავებთან, რომელსაც ამერიკა და ნატოს სხვა პარტნიორი ქვეყნები ფლობენ. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, ასევე მიიღებს F-35 საბრძოლო თვითმფრინავს 2019 წელს. თუმცა, ამერიკამ უკვე გააფრთხილა თურქეთი, რომ თუ რუსული რაკეტები ქვეყანაში შევა, მაშინ F-35-ის გადაცემა საფრთხის ქვეშ დადგება და შეიძლება სანქციების დაწესებაც მოუწიოთ თურქეთისთვის.

შეხედულებები რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარებაზე სხვადასხვაგვარია. თურქეთის ჩამოშორება დასავლელი პარტნიორებისგან მოსკოვის დიდი ხნის ოცნებაა, მაგრამ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი რუსულ-თურქული გაერთიანება აუცილებლად დაიშლება ისტორიული და რეგიონული ინტერესებისა და მათ შორის კონკურენციის გათვალისწინებით.

„სამწუხაროდ, ანკარა ფიქრობს, რომ მას შეუძლია ათამაშოს რუსეთი და ამერიკა ერთმანეთის წინააღმდეგ. თუმცა, ეს არ გამოვა“- ამბობს პოლიტიკური მეცნიერი ათენის უნივერსიტეტიდან ჩენგიზ აქტარი. „რუსები, ადრე თუ გვიან გაწმენდენ

[11] ABD-Türkiye ilişkileri: 1960'lardan bugüne yaşanan krizler https://www.bbc.com/turkce/haberler-dunya-41553003

იდლიბს, რომელიც ათასობით ტერორისტითაა სავსე და ეს იქნება პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირებაში“, ამბობს პროფესორი. როდესაც რუსული რაკეტების შესყიდვის თაობაზე თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობა იზრდება, ანკარა „ნატოს“ მხარეს იყურება, რადგან მიაჩნიათ, რომ იარაღის შესყიდვის საკითხზე „ნატოს“ უფრო დახვეწილი პოზიცია აგააჩნია. შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის, მაიკ პენსის მიერ გამოთქმულმა გაფრთხილებამ, რომ თუ ანკარა რუსულ „ეს-400“ რაკეტებს შეიძენს, „ნატოში“ თურქეთის მომავალი რისკის ქვეშ იქნება, თურქეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის, იბრაჰიმ კალინის გაღიზიანებული პასუხი მიიღო.[12]

,,ჩვენ ერთ-ერთი წევრი ვართ. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ყველა გადაწყვეტილების მიღებაში სიტყვა ეკუთვნის, ამიტომ „ნატოში“ თურქეთის ადგილის შესახებ კითხვების წამოჭრას არ დავუშვებთ.“ განაცხადა კალინმა.

ამერიკამ მოსთხოვა თურქეთს გადაედო რუსული რაკეტების მიღება ივლისამდე. თუმცა, თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის პრეზიდენტის ისმაილ დემირმა განცხადებით, რაკეტების ჩატანა ყველაზე ადრე ივნისშია შესაძლებელი. მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ სერიოზული ქვეყანა ვართ, რუსეთთან ჩვენი შეთანხმდება გრძელდება“.

[12] ანალიტიკოსების აზრით, თურქეთს უჭირს რუსეთსა და ამერიკასთან კავშირის დაბალანსებაhttps://www.amerikiskhma.com/a/us-russia-turkey/4921970.html

3.3 თურქეთის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების პერსპექტივები

ნატოს დაარსებიდან და თურქეთის ამ ალიანსში გაწევრიანების შემდგომ ნატო-თურქეთის ურთიერთობების განვითარების ქრონოლოგიაში ფაქტობრივად გვხვდება 1964 წლის მოვლენების გამეორება, როდესაც არჩევანის წინაშე დააყენა აშშ-მ თურქეთი.

თურქეთის მხრიდან S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის შეძენა უარყოფით გავლენას მოახდენს ნატოს წევრ ქვეყნებზე და განსაკუთრებით აშშ-ზე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ამ სისტემას სრული ტექნოლოგიით ყიდულობს ვერ ხერხდება მისი ინტეგრირება ნატოს თავდაცვით სისტემებში, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის ალიანსში, თუმცა თურქეთი ამ სისტემის შეძენით ძალის დემონსტრირებას მოახდენს წევრ სახელმწიოფოებთან და ამით თურქეთი შეძლებს ალიანსში მის მიერ დაყენებული საკითხები ანგარიშგასაწევი გახდეს.

ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ,,ამერიკის მტრებზე სანქციების ზემოქმედების'' (CATSA) კანონის 231 მუხლი, რუსეთის უშიშროებასთან ან თავდაცვით სექტორთან ვაჭრობა, სანქციების დაწესებას გულისხმობს.[13]

მიუხედავად მოსალოდნელი შედეგებისა, რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, თურქეთი აღნიშნულ სისტემას წარმოებისა და მოდერნიზების პერსპექტივით შეიძენს.

ვარაუდი თურქეთის ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გასვლის პერსპექტივის შესახებ ნაადრევია. მიუხედავად ყველაფრისა თურქეთი 66 წელია რაც ნატოს წევრია, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა ძლიერი ინფრასტრუქტურა,

[13] CAATSA Nedir? CAATSA yaptırımları nelerdir?
https://www.sondakika.net.tr/caatsa-nedir-caatsa-yaptirimlari-nelerdir-690h.htm?fbclid=IwAR2OFucl32B7ywgoeGWOY0FRccwKGPMqM5SDwnNiyoTBeCeKw26S3HHP61w

რომელიც განკუთვნილია თურქულ-ამერიკული და თურქულ-ევროპული სამხედრო თანამშრომლობისთვის.

თურქეთი კვლავ გარკვეული უპირატესობებით სარგებლობს როგორც ნატოს წევრ-ქვეყანა. თუმცა ერდოღანი ნათლად აფიქსირებს, რომ ბრიუსელმა და ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტონ ანკარის, როგორც საზარბაზნე ხორცად ჩათვლა. თურქეთის მზარდი დამოუკიდებლობა საშინაო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღებისას აძლიერებს აშშ-სა და ევროკავშირის პოზიციებს ანკარასთან მიმართებაში, მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. [14]

თურქეთის, როგორც მოკავშირის დაკარგვა, რომელსაც აქვს ძალიან კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა, შეერთებული შტატებისთვის ეს სრულიად არახელსაყრელია. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში დასავლეთი ანკარასათან დათმობებზე წავა, ხოლო ერდოღანი თავის უპირატესობებს გამოიყენებს და ეცდება რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, როგორც ნატოს წევრ-ქვეყანამ.

ნატო-თურქეთის 67 წლიანი ურთიერთობების განმავლობაში, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობებით ნატოს წევრ ქვეყნებისა და თურქეთის მიერ მიღებული დადებითი შედეგების გათვალისწინებით თურქეთმა მოახერხა და შეძლო ცივი ომის პერიოდში შეენარჩუნებინა ქვეყნის სუვერენიტეტი, განვითარებულიყო, ჩამოყალიბებულიყო სრულფასოვან სახელმწიფოდ და ყოფილიყო დაცული მოსალოდნელი საფრთხეებისგან.

ყოველივე ეს თურქეთმა შეძლო ჩრდილოატლანტკური ალიანსის მფარველობის ქვეშ, თურქეთი ნატოს წევრობით მიღებულ შედეგებს უპირატესობას მიანიჭებს,

[14]Турция и НАТО: история люби и ненависти https://topwar.ru/143800-turciya-i-nato-istoriya-lyubvi-i-nenavisti.html?fbclid=IwAR03K_WKFZTJ1vVpMhfi2aITfU-q8XAumPnIQXo-oSDmJHkJeqTVUN9p6os

გაითვალისწინებს რა პარტნიორი ქვეყნების მოწოდებასა და გაფრთხილებას არ შეიძინოს ანტისარაკეტო სისტემა S-400, რითაც თურქეთი ერთგული დარჩება ნატოს პრინციპების და განამტკიცებს მე-3 მუხლს.

დასკვნა

ნაშრომში წამოდგენილი ფაქტებით ნათლად ჩანს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1949 წელს შექმნილმა ჩრდილოატლატიკურმა ალინსმა პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება პარტნიორი სახელმწიფოების მშვიდობის დაცვასა და მათ განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. რისი ნათელი მაგალითიცაა თურქეთი.

თურქეთმა ნატოში გაწევრიანებით მისი სტრატეგიული პარტნიორი გახდა, შეძლო ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება, ეკონომიკურად გაძლიერება, თავდაცვითი სისტემების განვითარება, რითაც შემდგომ მოახერხა დაემკვიდრებინა თავი მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ნატოს წევრობით გაძლიერებულმა თურქეთმა და გეოპოლიტიკური უპირატესობის ბერკეტის გამოყენებით გადაწყვიტა, რომ აღარ იყოს ალიანსზე დამოკიდებული და დაიწყო საკუთარი თამაშის წესების ჩამოყალიბება. თურქეთის იმედგაცრუება ნატოს მისამართით 2016 წელს დაიწყო, მაშინ როცა ამერიკულმა მხარებ დახმარება გაუწიეს სირიელ ქურთებს შეიარაღებაში რომლებიც იბრძოდნენ როჟავაში, ანკარამ ეს უარყოფითად შეაფასა და უმალვე დაადანაშაულა ამერიკა და ნატო ტერორისტებთან თანამშრომლობაში, რომლებიც იბრძოდნენ თურქეთში, ქურთების საკითხი თურქეთისთვის მტკივნეულია, თუნდაც მაშინ, როდესაც საქმე თურქეთის ქურთისტანებს კი არა , არამედ სირიისა და ირანის ქურთულ ტერორისტულ დაჯგუფებებს ეხება. ანკარა მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის მცდელობები, როგორც საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის პირდაპირი საფრთხის შემცველია, რადგან ისინი ასეთ მდგომარეობაში ხედავენ სახიფათო მაგალითს და თურქეთის ქურთების

მხარდასაჭერად. ერდოღანმა არაერთხელ აღნიშნა, რომ თურქეთი მზადაა მასშტაბური საომარი ოპერაციებისთვის სირიელი ქურთების წინააღმდეგ.

ამის შემდგომ შეიძლება ჩაითვალოს რომ რუსეთი თურქეთისთვის ალტერნატივა აღმოჩნდა და აქედან გამომდინარე, მიუხედავად პარტნიორი სახელმწიფოების კატეგორიული წინააღმდეგობისა თურქეთი აგრძელებს თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას, რუსეთთან პარტნიორობით შეიძენს S-400-სს, რაც გამოიწვევს თურქეთსა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დაძაბვას, ეს მოახდენს ნატო-თურქეთის ურთიერთობების ტრანსფორმირებას, რითაც დასტურდება ჩვენი ჰიპოთეზა.

როგორ ვითარდება ნატო-თურქეთის ურთიერთობები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში?

ახალი მსოფლიო ფორმირების პროცესში სტრატეგიულ მოკავშირეებს შორის, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა, რაც განაპირობა თურქეთის მხრიდან პოლიტიკური ინტერესების შეცვლამდა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებამ, რაც ეწინააღმდეგება ალიანსის ძირითად პრინციპებს, სადაც მიიჩნევა რომ რუსეთი არის აგრესორი და ნატოს შექმნის მთავარი მიზეზი მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სწორედ რომ საბჭოთაკავშირის ძალის შეკავება იყო. თავის მხრივ, ნატო-ს მეთაურები სერიოზულად შეშფოთებულნი არიან თურქეთის რუსეთთან დაახლოების გამო. რეჯეპ ერდოღანი ყოველმხრივ აჟღერებს იმ ფაქტს და აჩვენებს შეერთებულ შტატებსა და ნატო-ს, რომ თურქეთი ატარებს დამოუკიდებელ საშინაო პოლიტიკას მიაღწევს და თუ ანკარას მოსკოვთან თანამშრომლება და რუსული იარაღის ყიდვა აწყობს, ვერავინ შეაჩერებს მას. ერდოღანის ამბიციები, რომელიც ამტკიცებს თურქეთის სუვერენული სტატუსის აღორძინებას, ბუნებრივია ეწინააღმდეგება შეერთებული შტატებისა და ნატო-ს ანტირუსულ პოზიციას. ვინაიდან სიტუაცია შეიცვალა და ახლა თურქეთს აქვს უზარმაზარი სავაჭრო

ბრუნვა რუსეთთან, ანკარა სრულიად უსარგებლოა დასავლეთის საწინააღმდეგო კამპანიაში.

რამდენად შესაგამისობაშია ნატოსა და თურქეთის ინტერესები შავი ზღვის აკვატორიაში?

ნატოს დაინტერესება, შავი ზღვის აკვატორიაში გამოიწვია ყირიმის ანექსიამ, მისმა შემდგომმა მილიტარიზაციამ, რაც შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებაში, ნახევარკუნძულზე საჰაერო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად ახალი დაჯგუფების შექმნაში გამოიხატა.

შავ ზღვაში ძალთა ბალანსის დაცვას ფრთხილად ცდილობს ანკარა. თურქეთი, მოუწოდებს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს გააძლიეროს პოზიციები შავ ზღვაზე, რომ „შავი ზღვა რუსულ ზღვად" არ გადაიქცეს და მეორეს მხრივ, ანგარიშს უწევს შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ დისბალანსს, რომელიც 2014 წლიდან, რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციის შემდეგ წარმოიქმნა. განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ალიანსისა და თურქეთის ინტერესები შავი ზღვის აკვატორიაში თანხვედრაშია.

რა პერსპექტივები აქვს ნატო-თურქეთის ურთიერთობებს?

თურქეთის მიერ S-400-ის შესყიდვა და ნატოს წევრი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან შესაძლო სანქციებს თურქეთი უპასუხებს ასევე სანქციებით, შესაძლოა განხილვის საკითხი გახადოს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული აშშ-სა და ნატოს ბაზების გამოყენება, რაც კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს არსებულ კრიზის. თურქეთის ტერიტორიზე ნატოს ობიექტების განლაგება და ამერიკული მეომრები გაყვანა ქვეყნიდან ემხრობიან თურქეთის როგორც მემარცხენები კომუნისტები და სოცილისტები ისე მემარჯვენეები ნაციონალისტები და რელიგიურ ფუნდამენტალისტები. ერდოღანი ნათლად აფიქსირებს, რომ ბრიუსელმა და ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტონ ანკარის, როგორც საზარბაზნე ხორცად ჩათვლა.

თურქეთმა სწორად შეაფასა თავისი მნიშვნელობა რეგიონში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და როგორც წლების წინ ახლაც გარკვეული უპირატესობებით სარგებლობს როგორც ნატოს წევრი ქვეყანა. თვლის რომ ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის საკუთარი პოლიტიკის დამოუკიდებლად გასატარებლად.

ამდენად ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ რეალიზმის პრინციპი, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო, თურქეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია რეალიზმისკენ შემობრუნების ნათელი მაგალითია და საერთაშორისო პოლიტიკაში ძალას და ძალაუფლებას ანიჭებს მთავარ როლს. ასევე თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია, რომლის იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან აღსრულებადი ხდება და მოიცავს საეღთო საფრთხეების აღიარებას.

ბიბლიოგრაფია

1. აკობია, ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. სალექციო კურსი, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006;
2. აბაშიზე. ზ ., ცივი ომი-წარსული თუ დღევანდელობა? -თბილისი 2009
3. კოგანი ი., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში - 2014 წელი;
4. მაისაია ვ. - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები.ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)-პარიზი 2003წ
5. ვ. მაისაია, გ. მაღრაძე- 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017წ.
6. მანჩხაშვილი, მ., თურქეთის საგარეო პოლიტიკ . თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა- 2014 წელი.
7. მჭედლიშვილი, ზ., აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. თბილისი, 2015
8. ქარუმიძე, ვ. ,,საერთაშორისო ორგანიზაციები'' - თბილისი 2003
9. ჩიტაძე, ნ. ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - თბ., 2007;
10. Kenneth N. Waltz, “Realist Thought and Neorealist Theory,” Journal of International Affairs, Vol. 44, Spring 1990.
11. Turkey’s Relations With NATO and EU (გამოქვეყნებულია - 31/08/2018) https://orientalreview.org/2018/08/31/turkeys-relations-with-nato-and-eu/?fbclid=IwAR2Fgp2Vr_IUPIzfHaMaWk085P0uQecliUYjSt-CKsZY_KCXw8KYmM9cubU

12. The post - coup Turkey – NATO relations (გამოქვეყნებულია 20/10/2016) http://mediterraneanaffairs.com/post-coup-turkey-nato-relations/?fbclid=IwAR1RvEQjQ7upL9CHwbIt7Jtb_8T5YXzSdHb5hwx9gln6c_3ueEDlMUAbWDA
13. TURKEY RELATIONS WITH NATO AND RUSSIA: A FOREIGN POLICY IMPASSE? (გამოქვეყნებულია -28/09/2018 http://turkishpolicy.com/article/918/turkeys-relations-with-nato-russia-a-foreign-policy-impasse?fbclid=IwAR1QXpoSO7yoxW26RFnukVfuk3e76PQMYJVYCeqqr_mAR2N2qpMO1TzbYU
14. წარსული-აწმყო- მომავალი ნატო თურქეთის ურთიერთობები (გამოქვეყნებულია - 13/01/2017) - http://yata.ge/ge/?p=1216-
15. ერთად უსაფრთხოებისთვის ნატოს გაცნობა (გამოქვეყნებულია 20.09.2018) https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120118_nato_security_ka
16. Türkiye'nin NATO'ya Girişi (გამოქვეყნებულია - 15/07/2015 https://www.tarihbilimi.gen.tr/makale/turkiyenin-natoya-girisi/ -
17. Türkiye'nin NATO'ya Katılması (გამოქვეყნებულია - 09/11/2018)https://www.tarihbilimi.gen.tr/makale/turkiyenin-natoya-girisi/ -
18. http://www.gazetebilkent.com/2014/04/20/turkiyenin-natoya-girisi-ve-odedigi-bedel/
19. TÜRKİYE'NİN NATO'YA GİRİŞİ VE ÖDEDİĞİ BEDEL (გამოქვეყნებულია - 20/04/2014)https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120118_nato_security_ka.pdf
20. რაარისნატო?https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20180212_171208-What_is_NATO_GEO_v1.pdf -
21. ტრუმენის დოქტრინა - https://history.state.gov/milestones/1945-1952/truman-doctrine -
22. Start of the Cold War - The Truman Doctrine and the Marshall Plan https://www.khanacademy.org/humanities/us-history/postwarera/postwar-era/a/start-of-the-cold-war-part-2 -
23. ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები (გამოქვეყნებულია - 2008)- http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-

0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.5.fc

24. Türkiye'nin NATO'ya giriş süreci (გამოქვეყნებულია - 06/05/2012) https://www.evrensel.net/haber/28465/turkiyenin-natoya-giris-sureci -

25. ABD-Türkiye ilişkileri: 1960'lardan bugüne yaşanan krizler (გამოქვეყნებულია - 2/08/2018) https://www.bbc.com/turkce/haberler-dunya-41553003

26. თურქეთი შავ ზღვაში რუსეთის დაბალანსებას ცდილობს - სამხედრო დრონები უკრაინას (გამოქვეყნებული -24/01/2019) https://www.amerikiskhma.com/a/turkey-ukraine-deepen-miliraty- cooperation/4756097.html

27. ნატო VS რუსეთი - შავი ზღვა დაპირისპირების ახალ კერად იქცევა? (გამოქვეყნებულია - 18/07/2016) https://www.kvirispalitra.ge/samkhedro-thema/30687-nato-vs-rusethi-shavi-zghva- dapirispirebis-akhal-kerad-iqceva.html

28. შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია (კონვენციის მე - 80 ლისთავისთვის)https://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/824--80-.html

29.შავი ზღვის გეოგრაფიული მახასიათებლები (გამოქვეყნებულია 20/03/2015)https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_EE_Black_Sea_Box_Geo

31. ცივი ომის 6 დამახასიათებელი ეპიზოდი (02/04/2014) http://kvira.ge/26792

32.https://militarium.org - ცივი ომის სამხედრო ანალიზი

33.Турция и НАТО: история люби и ненависти (გამოქვეყნებულია - 03/07/2019) https://topwar.ru/143800-turciya-i-nato-istoriya-lyubvi-i-nenavisti.html?fbclid=IwAR03K_WKFZTJ1vVpMhfi2aITfU-q8XAumPnIQXo-oSDmJHkJeqTVUN9p6os

34. რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში (გამოქვეყნებულია - 21.03.2016)-https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/21/realism-international-relations/